# დროება

№ 86 კვირა, 18 აპრილი 1910 წ. № 86

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელი არ იხარჯება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი [illegible]

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ოთხშაბათს, 21 აპრილს, კუკიის მართლმადიდებელთა წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ იოსების ასულის

ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები და სიძე. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 ნახევარ საათზე. (1—249—1)

ბესარიონ დავითის ძე გოგოხია შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 19 აპრილს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მისი ძვირფას მეუღლის, განსვენებულის

ანასტასია (ტასიკო) ალექსის ასულის გოგოხიას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 ნახ. საათზე, პანაშვიდი გადახდილი იქნება განსვენებულის საფლავზე წირვის შემდეგ. (1—246—1).

მარიამ და ბაგრატ ჭონიევები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის მეუღლის, მეორის ბიძის გარდაცვალებას

გიორგი ჭონიევისას.

პანაშვიდი გადახდილი იქნება ორშაბათს, 19 აპრილს ხოლო გამოსვენება სამშაბათს, 20 აპრილს, დილის 10 ს. ვლადიმირის ქ., (საკ. სახ.) კუკიის სომხეთა ღვთისმშობლის ეკლესიაში და წირვა პანაშვიდს შემდეგ დასაკრძალავათ კუკიის სომხეთა სასაფლაოზე. (1—254—1)

## ქართული თეატრი
### სადღესასწაულო რეპერტუარი

ხუთშაბათს, 22 აპრილს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

„ლალატი"

ისტ. ლეგენდა 5 მოქმ. სუმბათაშვილისა.

შაბათს, 24 აპრილს ვასო აბაშიძის საბენეფისოდ

„გაკოტრებული აზნაური"

კომედია 4 მოქმ. აბაშიძის თარგმანი.

კვირას, 25 აპრილს, ნინო ჩხეიძის მონაწილეობით

„სტუდენტის სიყვარული"

(დღენი ჩვენის ცხოვრებისა)

პიესა 4 მოქმედ. ანდრეევისა, იმედაშვილის თარ.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი ვალ. გუნია.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

იწვევს თავად-აზნაურთ საგუბერნიო საგანგებო კრებაზე, რომელიც მოხდება ამა აპრილის 25-ს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს სადგომში.

განსახილველი საგანი:

მოხსენება კახეთის რკინის გზის შესახებ.

(3—6.—1)

## ძმ. ნიკიტინების ცირკი

ჩამოვიდა თეატრი „ექსპრესი"

ოპერა, ბალეტი და სხვა ახალი სანახავი ტფილისში პირველია ასეთი წარმოდგენა.

ახალი სანახავი ტფილისელთათვის!

თეატრი „ექსპრესი" ყოველთვის დიდძალს მაყურებელს იზიდავდა საზღვარ-გარეთის ქალაქებში იმედია, აქაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს და ტფილისელებს დააკმაყოფილებს. (1—გაგ.—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

მ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

მ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

მ. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—322)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—35)

**ექიმი** ბაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კგ.—51)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კგ.—22)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—415)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კგ.—25

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—107

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—164)

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—74)

**ბებია** ქალი სოფიო ილიას ასული გელბორდტ-ლოკიში

რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—7)

სამშაბათს, 20 აპრილს, ქართულ მსახიობთა დასის მიერ ნ. გაბუნია-ცაგარლის, ვას. აბაშიძის და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

## ციმბირელი

დრამა 4 მოქმ. ავქ. ცაგარლისა.

მონ. იღებენ: ქ-ნნი ს. ანკარა, ო. ლეჟავა, ე. ჯაბაურისა; ბ-ნნი ნ. გოცირიძე, ი. ზურაბიშვილი, ა. მეტრეველი ს. პეშინოვი. რეჟ. გ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—2)

ზუბალაშვილის სახალხო სახლი

ორშაბათს, 20 აპრილს ნაფიცი ვექილი გ. გვაზავა წაიკითხავს

## ლექციას თვითმკვლელობაზე

**პროგრამა:** სულის მისწრაფება და ცხოვრების უკულმართობა. ძალთა გაფურჩქვნა და სოციალური მდგომარეობა. მიზეზები. ნერვების ენერგიის კულტურა და დახარჯვა პროსტიტუცია და ალკოჰოლიზმი. მორალის და უფლების თვალთახედვის წერტილი. დასაწყისი დღის 1 საათ. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. ადგილების ფასი 5 კ. 50 კ.-მდე. (1—253—1)


## ტფილისი, 18 აპრილი

ამას წინად ჩვენი დეპუტატი, ბ-ნი კარლო ჩხეიძე, „ერთ ფრიად დარბაისელ, პაცივცემულ, განათლებულ, შეძლებულ ქველმოქმედ ქართველთან" ყოფილა. ამ ყოველიირსებით შემკულ ქართ ველთან ბაასს ბ-ნი ჩხეიძე ისე აუღელვებია, რომ ორი დიდი წერილი მოუთავსებია „ჩვენ გაზეთში". თავის თავად ეს შეხვედრა დეპუტატისა და იმ ქართველისა და მათი ბაასი დიდ საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენს, რასაკვირველია, მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ ბ-ნი კარლო ჩხეიძე ჩვენ მოგვმართავს და ჩვენზე იყრის ჯავრს.

დარბაისელ ქართველს დეპუტატისთვის უსაყვედურნია—მაღალ პოლიტიკაზე სჯა-ბაასი, საერთო კითხვებზე თავის მტვრევა ქართველების საქმე არ არისო: Это роскошь для насъ... საკვირველი არაა, რომ ასეთ აზრს ბ ნი ჩხეიძე შეუშფოთებია, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ დეპუტატი ჩვენ, ე. ი. „დროებას", სვამს საბრალმდებლო სკამზე და პროკურორის მკაცრი კილოთი პასუხს ჩვენგან მოითხოვს. თანაც გვთხოვს, პასუხის დროს „პოლემიკურ ხერხებს არ მიმართოთო". „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო", სწორედ ამასა ჰქვიან. განა ნამდვილი პოლემიკური ხერხი არაა ის, რასაც ბ ნი ჩხეიძე სჩადის?! რა აქვს საერთო იმ დარბაისელ ქართველის აზრს ჩვენ აზრებთან? როდის და სად გვითქვამს ჩვენ, რომ მაღალ პოლიტიკაზე სჯა-ბაასი ქართველების საქმე არ არის? იმ „მოწინააღმდეგეებს", რომლებზედაც ბ-ნი ჩხეიძე ლაპარაკობს, მთლიანი სოციალ-პოლიტიკური აზროვნება—პროგრამა აქვთ, ერთიანად მაღალ პოლიტიკაზე აგებული; თვით გაზეთს დღესაც და წინადაც უფრო მაღალ პოლიტიკასა და საერთო საკითხებზე აქვს სჯა-ბაასი, ვიდრე შინაურ საქმეებზე. საიდან და როგორ დაასკვნის ავტორი, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ „მაღალ პოლიტიკასა" და საერთო საკითხებისა, არ გვესმის და ნამდვილ პოლემიკურ ხერხად მიგვაჩნია. ჩვენ მოწინააღმდეგეებს ეს ჩვეულებად აქვთ: თითონვე შეთხზავენ ბრალდებას, თითონვე მოგვაწერენ რომელსამე უცნაურ ტეზისს და შემდეგ მედგარ იერიშს მიიტანენ მტრის პოზიციის დასამსხვრევად...

რომ ავტორის საყვედური ყალბის ადრესით არის ჩვენკენ მომართული, ამას ცხად ამტკიცებს მისი შეკითხვა-ბრალდების კონკრეტიზაცია. სად არისო, გვეკითხება, საზღვარი ადგილობრივსა და საერთო საკითხების შორისაო? სად თავდება ადგილობრივი საკითხი და სად იწყება საერთო? ბევრს სცდილობს ავტორი, გაგვაგებინოს საკითხი, მაგრამ, გამოტეხილი უნდა ვთქვათ, ჩვენ მაინც ვერ გავიგეთ მისი აზრი. შეიძლება ავტორს რაიმე ღრმა აზრის გამოთქმა სურს და ჩვენ ვერ მივხვდით—რაშია საქმე, თორემ განა შესაძლებელია ისეთ პრიმიტიულ, ელემენტალურ საგანზე გვეკითხებოდეს, როგორიც არის საკითხი ადგილობრივ და საერთო კითხვათა შორის მჭიდრო კავშირის არსებობა? მაგრამ, იმ მაგალითებიდან, რომელიც ავტორს მოჰყავს, სხვა დასკვნა ვერ გამოვიყვანეთ.

რამდენიმე ანალოგიურ მაგალითიდან ავილოთ ერთ-ერთი და შევეცადოთ იმის გაგებას, თუ რას გვეკითხება ბ-ნი ჩხეიძე. ავილოთ, მაგალითად, ფინლიანდიის საკითხი... ასი წელიწადიაო, ბრძანებს ავტორი, ფინლიანდიას გარკვეული ჰქონდა საერთო კითხვებიც და ადგილობრივიც. განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ფინლიანდიის ავტონომიას ბეჭედი დაჰკრა და დაამტკიცა. მაგრამ ეხლა ფინლიანდიას ამ ავტონომიას ართმევენო. მაშ, ადგილობრივია თუ საერთო ფინლიანდიის საკითხიო, ფინლიანდიის დღევანდელი საქმეო? გავკადნიერდებით და ვიტყვით კიდევ, რომ არ გვესმის დეპუტატის ეს შეკითხვა. რა ისეთი აზრია, რა ისეთი ამოცანაა, რომ ამაზე პასუხსა გვთხოვენ. ცხადია, რომ ფინლიანდიის საკითხი და საქმე ადგილობრივიცაა და საერთოც. ადგილობრივია, რადგან განსაზღვრულ ტერიტორიასა და ერს შეეხება; საერთოა, რადგან მისი ასე თუ ისე გადაწყეტა და დაბოლოვება, თუ სულ არა, უმთავრესად მაინც ცენტრისაგან, რუსეთისაგან არის დამოკიდებული. ცხადია, რომ საკითხის ეს ორი მხარე მჭიდროთ არის ერთმანეთში გადაბმულ-დაკავშირებული. და განა ჩვენ ოდესმე სხვანაირად გაგვიგია ეს საკითხი? პირიქით, არ გვახსოვს არც ერთი ჩვენი წერილი ფინლიანდიაზე, სადაც ეს აზრი არ გამოგვეთქვას. ყოველთვის ხაზს ვუსვამდით იმ მოსაზრებას, რომ ფინლიანდიის ავტონომია უზრუნველყოფილი არ იქნება იმ დრომდე, სანამ რუსეთში არ დამყარდება სრული უფლებრივ-დემოკრატიული წესწყობილება. თუ ბ-ნი ჩხეიძე არ დაგვიჯერებს, შეგვიძლია ამონაწერებით დავუმტკიცოთ ეს... ასეთივეა სხვა მაგალითებიც, რომლებზედაც ავტორი გვითითებს. ყარსის საქალაქო თვითმართველობა, დასავლეთ გუბერნიების ერობა, ადგილობრივ ენებზე სწავლება—ყველა ეს ადგილობრივი საკითხიცაა და საერთოც და ვერც ერთს ვერ შეეხები დღევანდელ პირობებში ისე, რომ წინ არ დაგიხვდეს ის „საერთო მტერი", რომელზედაც ბ-ნი ჩხეიძე ამაოდ უთითებდა დარბაისელ ქართველს...

ბ ნი ჩხეიძე გვთხოვს, სიტყვის ბანზე აგდება ნუ იქნებაო. ნუ გაგვიჯავრდება დეპუტატი და უნდაკი მოვახსენოთ, რომ სიტყვას ბანზე სწორედ ის აგდებს, როცა საქმე ისე გამოჰყავს, თითქო ჩვენ ოდესმე ს.-დ. დეპუტატებისთვის გვეკიჟინებიოს მაღალ პოლიტიკაზე ლაპარაკი. სადავო ჩვენ შორის არასოდეს არ ყოფილა ის საკითხი, რომელსაც ახლა აყენებს ბ-ნი ჩხეიძე. პირიქით, ჩვენ გვაწუხებდა ის გარემოება, რომ ფინლიანდიის ავტონომია, პოლონეთის საკითხი, ადგილობრივ ენის მნიშვნელობა და სხვა ამგვარი ადგილობრივი საკითხები ჩვენის დეპუტატებისთვის უკეთეს შემთხვევაში (безразличные) უმნიშვნელო საკითხები იყო. ეს სულ სხვაა და ის სულ სხვა, რაზედაც ბ-ნი ჩხეიძე ლაპარაკობს დღეს. „მაღალ პოლიტიკაზე" ლაპარაკი და „საერთო საკითხებზე თავის მტვრევა" აუცილებელია, იმიტომ რომ უამისოდ არც ერთი ადგილობრივი საკითხი არ გადასწყდება; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ადგილობრივ საკითხებს თავისი საკუთარი მნიშვნელობა და ძალა აქვთ და ამის შეგნება ჯერაც სავსებით ვერ მოუხერხებიათ ჩვენ ს.-დ. დეპუტატებს. ფინლიანდიის „დღევანდელი საქმე" იმდენად აინტერესებს რუს. ს.-დ—ას საზოგადოთ და მის საპარლამენტო ფრაქციას კერძოთ, რამდენად ამ საქმეს კავშირი აქვს ცენტრის პოლიტიკურ ვითარებასთან; პოლონეთის ერობის საკითხი იმდენად აინტერესებს ს.-დ. დეპუტატებს, რამდენად ამ საკითხს კავშირი აქვს „მაღალ პოლიტიკასთან;" ყარსის საქალაქო თვით მართველობასაც ბ-ნმა ჩხეიძემ უფრო იმიტომ ჩასჭიდა ხელი, რომ იგი ნიღაბსა ხდის რუსეთის დღევანდელ ბატონ-პატრონებსა და ამჟღავნებს მათ შოვინისტურ მისწრაფებათ. თორემ, თავისთავად რომ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ ადგილობრივ საკითხებს, მაშინ ჩვენ დეპუტატებს გარკვეული, განსაზღვრული და მწყობრი პროგრამაც ექნებოდათ ადგილობრივ საქმეებსა და საკითხებში.

## დღიური

ალდგომა.

მზის მხიარული სხივი სარკმელს ეცემოდა და ჭერსა და კედლებზე ციმციმი გაჰქონდა, თითქოს ალერსით მევედრებოდა ოთახში შემოსვლას. სწრაფად გავაღე სარკმელი და სახეში შევხედე ცის მნათობს, მაგრამ მისმა ელვარებამ თვალები დამიბნელა და ძირს დავიხედე. ამწვანებული ბაღი საუცხოვოდ მორთულიყო მშვენიერი ყვავილებით. ლამაზი კოკრებით სავსე ვარდი ნაზად ირხეოდა, ყაყაჩო, იასამანი, ზამბახი ერთმანეთს ეცილებოდნენ და შორიდან მიგზავნიდნენ სალამს; პატარა ია სიყვარულით შემომცქეროდა; ათრთოლებული ტიტიფი, გრძნობით მთვრალი, მზად იყო მოსახვევად და ლამაზი დაფნის შტო განგებ მოხრილიყო გვირგვინის მსგავსად ჩემი თმების შესამკობად. გაზაფხულისაგან დამშვენებული მიწა სურნელებით იყო ავსილი. ვარდის ახლო ბულბული იჯდა და შეყვარებულის ხმით სიხარულს ჰფენდა არე-მარეს. შორს ახალგაზრდა მოშანი ხმას ივარჯიშებდა და მერცხლის ჭიკჭიკი დაუსრულებელს სიცოცხლეს გამოსახავდა.

ბაღში ჩაველი და ბედნიერმა არ ვიცოდი, ვის მივსალმებოდი პირველს და ვისი სიმშვენიერით დავმტკბარიყავ. დიდ-ხანს ვიდექი ერთ ალაგას, სიამოვნებისაგან სახე მითამაშებდა და აღტაცებული გული ძალზე სცემდა. ჩემს გვერდით ყვითელი წიწმატა დავინახე და მისი ყვავილისაკენ გავსწიე ხელი. უცებ ფუტკარი ამოფრინდა, დამეცა ხელზე და მწარე ნესტარი მჩხვლიტა. განზე გადაუხვიე და აჩქარებულმა ჭინჭარს დავადგი ტიტველი ფეხი; დამწვა და გადავხტი. იქვე კვალის ძირს, ქვაზე ქვემძრომი გაწოლილიყო და საზარლად გაისისინა. მყის დავტოვე ბაღი და ელდა ნაცემი გავეშურე სახლისკენ...

* *

აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე მიმოვიარე ჩვენი ქვეყანა. ცნობის სურვილმა გაიღვიძა და გონება ჩემი მოუსვენარი შეიქმნა. თვალსა ჩემსა სწადდა ხილვა უხილავისა, ყურსა სმენა ცათა და ქვესკნელის იდუმალ ხმათა, ჭკუას მიწდომა ქვეყნიერების დასასრულისა. მინდოდა შეყვარება ადამიანის, ადამიანის გახარებულისა და ატანჯულის, მწყუროდა დავწაფებოდი მოყვასის ანკარა სულს; ვიბრძოდი უდიდეს სიკეთის და უდიდეს ბოროტების შეგნებისათვის და ამ შეგნებით კაცთ შორის სამართლის დასამყარებლად.

ნიჭი ჩემი ფრთა-გაშლილი იყო, გული გაცისკროვნებული დიდის იმედით და სული ჩემი უკვდავების შარავანდედით გაბრწყინვებული; უშიშარი ვიყავ ლომივით და გაბედული, ვით ბავშვი. მაგრამ ჟამსა ერთსა საღამოსა მგზავრობისაგან დაქანცულმა ხის ძირში დავისვენე. ნაწვიმარი იყო და მდელო დანამული. მივიძინე და ძილის დროს მავნე სული დაპატრონებოდა ჩემს გულს და უემურს დაეძლურებინა სხეული ჩემი.

მოვიდა დედა, იტირა ბევრი, დაჰყარა ცრემლი, ცრემლი მარგალიტისა, დაიგლიჯა თმა გიშრისა, დაიგლიჯა ლოყა ლალისა. ილოცა და ევედრა სამას სამოც და სამს წმიდა გიორგის, მაგრამ ხმალმა წმიდისამან ვერ განდევნა ბოროტი სული, ვერ გამკურნა და იმ დღიდან დამიმძიმდა გონება და აღარ წარმიტაცებს სასოება ყოვლისა მონდომისათვის.

* *

დღე ჩვენი ხანმოკლეა და გზა საზღვარ დადებული, მაგრამ ბედნიერება შესაძლებელია! აავსეთ ფიალები, მზის შუქზე შეათამაშეთ წითელი

ღვინო! დაჰკარით ებანთ, ააწკრიალეთ წინწილნი, ხელი შეახეთ თარისა სიმებს და შეუერთეთ მათ ხმა ტკბილი! ქალო ლამაზო, აამღერე შენი სარო ტანი, გადმოშალე შავი თმა, გაანათე სუფრა შენის მკერდით და ცეცხლი გვაფრქვიე შენის თვალებიდან. კოცნა შენი უკვდავებაა და შეხედვა სამოთხისაებრ საყვარელი. სახით და მშვენებით უკლებო, გაამთელე სხეული და გაგვიმხიარულე გული, ქირისა გამქარვებელო, გაზაფხულის ვარდო!..

ხეზე შემოჯდა შავი ყორანი და გესლიანად დაიჩხავლა. ცას გადაეკრა ღრუბელი და შემომესმა გლოვის ზარი... ეს რა არის? ვის ასვენებენ? ვინ მოსთქვამს მწარედ და ვისი სახე შეუღებავს ცრემლში შერეულს სისხლს?

ეს ხომ და არის ჩემი! ეს ხომ ძმა არის ჩემი! საუკუნო მდუმარება გადაჰკვრია მათ სახეს და ვერცა დასაწყისი, ვერცა დასასრული მსოფლიოსი ვერ დაარღვევს ამ სიჩუმეს. მომიწოდებდნენ უკანასკნელ გამოთხოვებისათვის, მაგრამ ველარ ვისმინე მათი უკანასკნელი სიტყვა, ველარ დავიბეჭდე გულში მათი თვალების უკანასკნელი გამოხატულობა! ეს ხომ დედაა ჩემი საყვარელი, რომლის ტირილი უნუგეშო ქვასაც დაადნობს და ცრემლის ნაკადი ზღვად გადააქცევს მთელს ხმელეთს!..

დაამხეთ სუფრა, დასწყვიტეთ სიმები!

* * *

ჩემო სამშობლო! საყვარელი ხარ და შენი სიყვარული ნაწამებ გულის გამკურნებელია. მიყვარხარ იმიტომ, რომ შენს მწვანეზე იშვა ჩემი სიცოცხლე, შენმა ბრწყინვალე მზემ პირველად იხილა ჩემი სახე, შენმა ლაჟვარდმა ცამ დამიკოცნა თვალები; შენმა მაღალმა მთებმა და მრავალფერმა ველებმა გაშალეს ჩემი გონება და ასწავლეს ფიქრი, შენმა წყაროების ჩურჩულმა და მდინარეთა დუდუნმა აღმიძრეს გრძნობა, შენმა ჰაერმა ჩამიდგა სული და შენმა ყვავილებმა, პეპლებმა და ჩიტებმა ამიბეს ენა.

ულამაზეს სიყვარულს, უდიდეს ნიჭს, უძვირფასეს ტახტს—არც ერთს არ ვინდომებდი ჩემთვის, არამედ ყველაფერს მოწიწებით შევწირავდი შენს სახელს და მაინც კიდევ გადახდილი არ მექნებოდა ჩემი ვალი. პატარა ხარ, ხოლო შენმა წარსულმა გაგადიდა შენ, შენმა სიმშვენიერემ ძვირფასი გქნა და ჩემთვის, შენი შვილისათვის, დაუსრულებელი ხარ, უსაზღვრო, მიუწდომელი.

იყავი თავისუფალი და იმკვიდრე სამეფო თანასწორობისა, რომელიც ბედნიერებით შემოსავს შენს შვილებს და კიდევ მეტს მომხიბვლელობას მიანიჭებს შენს ლამაზს სახეს...

მწარედ იცინის მავნე სული და ალქაჯნი ბანს აძლევენ ჯოჯოხეთურის ხარხარით. მახვილი მტრისა ბრიალებს ჰაერში და ცეცხლი მზადდება სოფლისა და ქალაქისათვის. ციხეებს ამრავლებენ და ჰმართავენ ახალს სახრჩობელებს. რისხვა ჩემი იქნება შეუნდობელი, იძახიან და მუქარითა აჰშობენ გალვიძებულ სულის კვეთებას.

* * *

სატანავ, არ შედრკება თავგანწირული მებრძოლი! მე მოვუწოდებ ჩემს მეგობარს და ხელისხელ ჩაკიდებულნი, ერთ სულად ქცეულნი, ერთ არსებად ქმნილნი შევუდგებით მედგრად მთას მაღალს და ვერ დაგვხრის ტვირთი მძიმე. მეგობრობითა და სიყვარულით განსპეტაკებული და სრულნი არ შეუშინდებით განსაცდელს და ეშმაკთა ხაფანგი ვერ დაგვატყვევებს. სიმართლე და ჭეშმარიტება გაგვიძღვება წინ და გაგვინათებს გავლილს გზას. მე მოვუწოდებ მეგობრებს, ხალხის ერთგულებს, და არ შევსდგებით, სანამ არ გავიმარჯვებთ. შენი მახვილი—ჩვენი გული, შენი ძალადობა—ჩვენი სული, შენი ბოროტება—ჩვენი სიმართლე, შენი წარმავალობა—ჩვენი უკვდავება დაუპირდაპიროთ ერთი მეორეს და მაშინ იხილავ მერმისს შენსას, ბნელით მოცულს, წიაღსა უდაბნოს და მარტოობას გამწარებულს...

„მერმისათვის აწმყო არავის გაუწირავს“, დამჩხავის შავი ყორანი, ეშმაკი იცინის და ალქაჯნი ბნელ ციხეზე მითითებენ: საკნიდან დაღონებულის თვალებით შემომცქერის დატყვავებული მეგობარი. ისმის ბორკილთა ხმა და სამგლოვიარო ლოცვას გალობენ თავდადებულთა გუნდები, რომელნიც სასიკვდილოდ განუმზადებიათ. ალი ცეცხლისა ედება არემარეს და მწარედ მოსთქვამენ დედები და ქვრივობლები.

* * *

„ვერ დამიმონებ, ვერ დამიმონებ!“ ამოსკდა ჩემს გულს. მაგრამ ამ დროს ატყდა ჭექა-ქუხილი, ცა გაშავდა, შეინძრა მიწა, ხე ხეს ეხეთქა, მდინარენი გადმოვიდნენ ნაპირებიდან და დაირღვა მთები. ქვეყანა მაცთურებით აივსო, გველთა სისინი მოეფინა ყველაფერს, ავსულნი, ალნი, ქაჯნი, ჭინკანი, ეშმაკნი დაეპატრონნენ დედამიწას. ჰაერი მოიწამლა, სუნთქვა გაძნელდა და ვიხილე, გარდმოვიდა ვეშაპი დიდი, გველი დასაბამისა, რომელსაც ეწოდების სატანა, რომელიც იცთუნებს ყოველსა სოფელსა...

მაშინ დავეცი მუხლებზე და აღვაპყარ ხელნი ზეცამდი და ვიტყოდი: „ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, ვინ არ ადიდებდეს სახელსა შენსა, რამეთუ მხოლოდ შენა ხარ წმიდა და რამეთუ ყოველნი მოვიდნენ და თაყვანი გცენ წინაშე შენსა, რამეთუ სიმართლენი შენნი გამოცხადნეს“. ვიხილე მეუფე წმიდათა, მოსული ქვეყნად, და ემოსა მზე და მთვარე იყო ფერხთა ქვეშე მისთა და თავსა ზედა გვირგვინი ვარსკვლავთა.

„მამაო მართალო და კეთილო,—მივმართე ვედრებით:—მოეც ნუგეში შენსა შვილს: დამკვიდრდება მეუფება შენი დედამიწაზე? ვიხილავ მე სიმართლეს და სიკვდილს დათრგუნვილს? ვიხილავ მე წამებულსა და გვემულს სამშობლოს აღდგენილს?“

სიყვარულით გადმომხედა მეუფემ, მომხვია წმიდა ხელები და წამომაყენა. მიმიყრდნო თავის გულზე, გადამიკოცნა თვალები და შეეხო ჩემს ბაგეთ თავის უკვდავების ამბორით; და ნეტარება განაბნია ჩემს სხეულში, გული ამივსო სასოებით და გონება ზეციურის ცნობით.

და მრქვა მეუფემ: ყოველივე წარმავალია, გარდა სიყვარულისა და სიკეთისა; ყოველი მამისაგან არის და მამასთან. იხილავ სამართალს და ბედნიერებას, რომლისთვის ბრძოდი... მე შენთანა ვარ.

აღარ იყო მეუფე ცათა და ქვეყანათა. მარტო ვიდექი. ხოლო ცა მოწმენდილიყო, მზე დიდებულად ანათებდა და იწყებოდა დღე ახალი...

**სიტყვა.**

## ბიბლიურ ჰანგზე

### შ ი შ ი

— ღმერთო, აბრაამისაო, ისაკისაო და იაკობ მონისა შენისაო! შენ გადამარჩინე ამაღამ უვნებლად. ოოჰ! დედა ჩემო, რა მაგრა წამოვკარი ფეხი იმ ძირ გასახმობ ხის ფესვს და რა მწარედ დავეცი. უჰ, უჰ, რა მტკივა თეძოები!—ჩუმად კვნესოდა ვილაცა და ხელების ფათურით, უგზოუკვლოდ მიეხეტებოდა გეთსამანიის წალკოტის ერთ ერთ ხშირ ტყესავით დაბურულ კუთხეში.

შუა ღამე გადასული იყო. ირგვლივ უკუნეთი სიბნელე გამეფებულიყო. მოშორებით, წალკოტის პირას, ქალაქის მხრივ ჩუმი ჩოჩქოლი მოისმოდა და რამდენიმე ჩირაღდანიც მკრთალად ანთებდა. ხმაურობა თანდათან სწყდებოდა, ჩირაღდანთა მკრთალი შუქიც ნელ-ნელა ილეოდა.

— ვინა ხარ? კაცი ხარ თუ ქაჯი ვინმე?—მოისმა მახლობლადვე შეფეთიანებულად ამონათქვამი ხმა.

— მე კაცი ვარ, მაგრამ შენ ვინა ხარ?—თითქმის ძაგძაგით მიუგო პირველმა.

— იელოვავ, შენ შემეწიე! ხმა კი მიუგავს.—ნათანაილ, ბიჭო, შენ ხომ არა ხარ?

— აი, დიდება შენდა. იაკობ, შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ, ნუ გეშინიან!

— რა ნუ გეშინია, შვილო, კაცი ძლივს ღა ვდგევარ ფეხზედ და... აბა სადა ხარ, აქეთ მოიწი, ერთი ხელი შეგახო. ასე მგონია, თითქო ჯერ კიდევ სიზმარში ვარ მეთქი.

— შენ თვითონ მოიწი აქეთ. მე თხრილში ვწევარ. არც კი მახსოვს, როგორ მოვახწიე აქამდის. აქ კი მუხლები ჩამეკეცა. ჯერ ფეხის განძრევასაც ვერ ვახერხებ ხეირიანად.

— ა... ა... ჩემი ცოდო,—კრუსუნებდა ნათანაილ, ხელებს ფოთოლ-ბალახებში ფრთხილად აფათურებდა და იაკობისკენ მიიწევდა.

— თქვენა ხართ? თქვენა ხართ? მადლობა უფალს!—ჩუმად, ხმის კანკალით წარმოსთქვა ვილამაც იქვე მახლობლად:—შიშით კინაღამ სული ამომხდა.

— იაკობ, ნუ გეშინიან, თომაც აქვე ყოფილა, ჩვენა ვართ, თომა, აქეთ მოიწი.

— თადეოზიც ჩემთან არის, მაგრამ ისე დაშინებულია უბედური, რომ ენა ჩავარდნილი აქვს, ხმასაც ვერ იღებს. ახლა უფრო თამამად მოსძახა თომამ:—თუმცა არც მე ვარ უკეთეს ყოფაში. ჩემს სიცოცხლეში ასეთი შიში არ გამომიცდია. ხამლის თასმაც საუბედუროდ ეკლიან ბუჩქნარს მოედო, როცა მოვრბოდი, წავიჩოთირე და ძალზე დავეცი...

— ჩვენიანი ხმაა სწორედ!—გაისმა ხშირ ფოთლებში ნაცნობი ხმა.

— ანდრია!—იმედიანად წამოიძახეს დანარჩენებმა.

— იაკობ აქა ხარ?

— აქა ვარ?

— შიმონ-კეფა მანდ არი?

— არა. აქა ვართ მე, ნათანაილ, თომა და თადეოზ.

— ფილიპე, ფილიპე, აქეთკენ გამოეჩქარე, ჩვენები აქა ყოფილან!—ჩუმად უძახდა ანდრია.

— ძმებო! ვაი ჩვენი ბრალი!—მწარე დაღონებით წარმოსთქვა ანდრიამ, როცა დანარჩენებთან მივიდა.—დავიღუპეთ, მოძღვარი წაგვართვეს. ჩვენი სასოება რაბბი იიშუ დაგვიპატიმრეს.

— კაცნო, ჯერეთაც გონს არ მოვსულვარ, რა მოხდა, რა ამბავი იყო? სიზმარში მგონია ჩემი თავი,—ამბობდა ნათანაილ:—რაც ბეთანიაში, შიმონ ფარისეველი გაგვიმასპინძლდა, მას აქეთ უქეიფოთა ვარ, ტკბილ ღვინოს დავეძალე და მაწყინა. ბოლო დროს სულ უარესად ვგრძნობდი თავს. ამ საღამოს, მოძღვარს ხათრი არ გაუტეხე, თორემ სერობაში ინახით ჯდომის თავი სრულებით არა მქონდა. კარგად არც კი მახსოვს, როგორ ვისერობეთ. მგონი ფეხებიც მოძღვარმა დაგვბანა. წალკოტში თავი შემოვყავით, თუ არა, მე მაშინვე მდელოზე გავგორდი და მკვდარივით დამეძინა... რაღაც სიზმარში ვიყავი და უცბად, აი, ღმერთო ჩემო! თვალებში შემომანათა ჩირაღდანმა, რაღაც ჭახა-ჭუხიც მომესმა... „ის არა, ის არაო“, ყვიროდა ვილაცა. მოძღვარსაც თვალი მოვკარ იმ აურ-ზაურში, ვილაცა მოეჭიდა, თუ მისკენ საცემად მიიწევდა, კარგად ვერ გავარჩიე. „ხოცავენ, ხოცავენო“, მომესმა, „თავს უშველეთ, თავს უშველეთო“, და მეც ახალი ნამძინარევი არ ვიცოდი, საით გავრბოდი. გული ჯერაც არ დამშვიდებია...

— არა, რაღაც კარგი ხომ არ მოგველოდა, ვიცოდი,—სიტყვა ჩამოართვა იაკობმა:—ამ ორი თვის წინად ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე, რომ მას შემდეგ ჩემ კალაპოტში არა ვარ. შენ კი გიამბე, მგონი, ანდრია? მივდივართ კაცნო, ვითომ ნავით გენისარეთის ტბაზე. ამოვარდა ქარიშხალი, აღელდა ზღვა საშინლად; აქაფებული ტალღა ტალღაზე მოგორავს და შხუილით ეხეთქება ჩვენ საცოდავ ნავს. ანძის ღრიჭინი გააქვს და ეს არის შუაში უნდა გადატყდეს. კეფა კი საჭეს ტართან არხეინად ზის და გაიძახის: „ფიქრი ნუ გაქვთ, მოძღვარი უბრძანებს და ქარიშხალი მყისვე ჩადგებაო“. მოძღვარი კი ჩვენ შორის არა სჩანდა. „სად არის მოძღვარი, მოძღვარი“, აწრუწუნდით ყველანი. ამ დროს წამოვიდა საშინელის გრიალით ერთი უშველებელი ტალღა, ეცა ჩვენს ნავს და ვარცხლივით თავ-ქვე მოაქცია. მე ვითომ თავით ძირს წყალში გადავიჩეხე, ტანში ძლიერ გამაჟრჟოლა და კიდეც გამომეღვიძა. ან სიზმარი რაღად გინდა-ცხადადაც აშკარა იყო, რომ ხიფათი კარზე გვედგა. რაც მოძღვარმა შარშან წინ ვაჭრები ტაძრიდან იფრინა, იმ დღიდან ამ დასაქცევ იერუსალიმში ფეხის შემდგმისა მეშინოდა. რაც მოძღვარმა რაბუნობა დაიწყო, იმ თავიდან უკმაყოფილო იყო ხომ სამღვდელოება მისი, მაგრამ ვაჭრების ფულის დაბნევამ და მტრედების ტაძარში გაყიდვის წინააღმდეგობამ მეტად გააჯავრა თურმე მღვდელ-ლებიტელნი. თურმე მტრედებისაგან დიდი შემოსავალი ჰქონიათ. მოხუცე მღვდელ-მთავარს ეთქვა თურმე: „დამაცადოს რაბბი იიშუმ, ხალხის ამბოხებას ეწევა, მაგრამ მე ანნა მღვდელ-მთავარი არ ვიქნები, თუ ხელთ არ ჩავიგდე და არ დავღუპეო“. მას აქეთაა, ყოველ მარჯვე დროს სულ იმას ჩავჩიჩინებდი: „მოძღვარო, რა გინდა ამ დასაქცევ და გახრიოკებულ იუდეაში, გალილეას მივაშუროთ. იქ არიან ყველა ჩვენები, იქ ვუყვარვართ, იქ გვისმენენ, იქ გვიმასპინძლდებიან. აქ ყოველ ფეხის გადადგმაზე ფარისევლობა და სამღვდელოებაა, დაუსრულებელი კამათი და მუქარაა, თავი დავანებოთ, გავშორდეთ მეთქი“, მაგრამ არ მიჯერებდა. „მტერს არ დავემალები, სამღვდელოებამ გარყვნა ტაძარი ღვთისა, იმათ კრიჭაში უნდა უდგეო“ და აი, აღსრულდა კიდეც...

— ეს ყველა კარგი, ვიცით, გვსმენია,—გააწყვეტინა თომამ:—მე ხეირიანად ჯერეც არა მაქვს წარმოდგენილი, თუ რა მოხდა, კაცო. მართალი გითხრათ, რაც აქ შემოვედით, მას აქეთ მეც მეძინა. რა იყო, ვინ დაგვესხა, კაცო, თავს? ვინ ან რისთვის დაიჭირეს მოძღვარი? მერე ამ წალკოტშა ვინ მოასწავლა? თუ ბრალსა სდებდნენ რამე, რატომ დღისით არ დააპატიმრეს, მთელი დღე ტაძარში არ იყო? მოძღვარი ხომ არ იმალებოდა? ახლა ხან არ იყო, რომ ორი დამსახურებული დეკანოზ-ფარისეველი შეეკითხა: „მოძღვარო, ვიცით რომ ღვთისგანა ხარო, ერთი აგვიხსენი, თუ შეიძლება, კეისარს ხარკი უნდა ვაძლიოთ თუ არა...

— აქა ხართ, სული გიდგიათ, თქვე უბედურებო?—გაისმა ახლად მოსულის მწუხარე ხმა.

— შიმონ, კეფა, შიმონ!—რაღაც იმედიანად წამოიძახა ყველამ:—შიმონ, გვითხარ რამე სანუგეშო, გაგვაგებინე, სად არის მოძღვარი, რა მოხდა, ვინ წაიყვანა, ან სად წაიყვანეს მოძღვარი? ეკითხებოდნენ აქეთ-იქით.

— რა მოხდა, როგორ მოხდა? განა მოსალოდნელი არ იყო? განა მოძღვარი თვითონ არა გრძნობდა? გინახავთ როდისმე ისე დაფიქრებული, როგორიც დღეს იყო? სულ ადვილად მოხდა ყველაფერი. ძმებო, იცოდეთ, ყელი გამოგვჭრა, შევრცხვით!—ბოღმით ამბობდა კეფა:—კარიოტელმა გვიღალატა, იმან გასცა მოძღვარი.

იუდამ, იუდამ? რას ამბობ, შიმონ!..

— ცხადია, იუდამ ყველას ყელი გამოგვჭრა. ჩემი თვალით ვნახე, მღვდელ-მთავრის ბიჭებს წინ მოუძღოდა. ახლა ყველაფერს მივხვდი. თუ შეამჩნიეთ, სერობაზედაც მოძღვარმა რაღაც იჭვიანის თვალით გადაჰხედა, იუდაც ადრე წავიდა. მე მეგონა, დროით სანოვაგის სასყიდლად წავიდა მეთქი. აკი მეგვარდღეც იყო. თურმე სასახლეში წასულა შეჩვენებული. მე უბედურს რამდენჯერმე მითხრა მოძღვარმა, კეფა, მღვიძარე იყავი, განსაცდელი მოახლოებულიაო. მე მაინც ღმერთი გამიწყრა და ჩამთვლიმა. ჩირაღდნის დანახვა და მაშინათვე გამომეღვიძა კი. კარიოტელი უსირცხვილოდ მოძღვართან მივიდა და მიესალმა, უკან ზორობაბელ მღვდელი მოსდევდა, ძველი ტანისამოსი ჩაეცა, ვითომ არ მიცნონო. ზორობაბელმა მოძღვარს კალთაში ხელი წაავლო, სასახლის ბიჭებიც მიეშველნენ და მოძღვარს ხელებში სწვდნენ. მოძღვარი სრულებით დამშვიდებული იყო. ერთი ბეწო რამ თავ-საშველად არ მოუმოქმედნია. „ტუკები და მახვილ-შუბები რაღა საჭირო იყო, მე ქურდი და ავაზაკი ხომ არა ვარ, როდის იყო იარაღს ვატარებდიო“, მშვიდად უთხრა ზორობაბელს. „ის ჩვენ ვიცითო, გეყოფა, რაც შენ ჩვენი სისხლი სწოვე, ახლა ჯერი ჩვენიაო. არიქათ ბიჭებო, მოდით ხელები შევუკრათო“. მე ერთიხანს დავიბენი, მაგრამ ჩქარა გამოვერკვიე და დანითა და მუშტით დავერიე მტრებს, მზად ვიყავ, თავი შემეწირა, მაგრამ რაბიმ ჩვეულებრივი ტკბილი ხმით ჩამჩურჩულა: „შიმონ, რას ჩადიხარ, უაზრობაა შენი საქციელი, ამდენ შეიარაღებულ ხალხთან, აბა რას უნდა გახდეო“. მერე რა მოხდა, აღარა მახსოვს-რა. როცა გონს მოვედი, წალკოტში უგზოუკვლოდ დავეხეტებოდი და ამ ხეტიალში თქვენ წაგაწყდით.

ყველანი სულ-განაბულნი უსმენდნენ.

— ყველანი აქ ხართ?

— შიმონ კანანელი არა სჩანს; მგონია, მათე-მეზვერეც გვაკლია.—სთქვა ერთმა.

— მე აგერა ვარ!—გაისმა მკრთალი ხმა.—მე სულ არაფერი არ გამიგია. დიდი ზეთის ხილის ხის ქვეშ მეძინა. ფილიპემ, როცა მორბოდა, ფეხი დამადგა და გამომაღვიძა.

— ნეტავ ვიცოდე, იოანნე სადღა დაიკარგა?—ნაღვლობდა შიმონ—კეფა.

— შეიძლება ისიც დააპატიმრეს,—სთქვა ნათანაილმა.

— არა მგონია, ისინი მხოლოდ საგანგებოდ რაბბი იიშუსთან მოვიდნენ. იოანნე უსათუოდ ფეხ და ფეხ გაჰყვა მათ. ის მოძღვარს შორით მაინც არ მოჰშორდებოდა.

— ვითომ სად წაიყვანდნენ მოძღვარს?—იკითხა იაკობმა.

— უეჭველია, მღვდელ-მთავრის სასახლეში. ჯერ მოსულნი არც კი იქნებიან—მიუგო შიმონმა:—ძმებო, ასე გულხელ დაკრეფილნი უნდა ვიყვნეთ? მოძღვარს არ მივეშველნეთ?

— მოულოდნელმა შემთხვევამ გზა-კვალი აგვიბნია,—სთქვა იაკობმა.

— კაცნო მართლაც და რამ დაგვაშინა ამ ზომამდე?—წარმოსთქვა ანდრიამ:—მოვკალით ვინმე? მოვიპარეთ რამე? თავს დავესხით ვისმე და გავცარცვეთ? ერთი მითხარით, ან რაბბი იიშუს, ან ჩვენ ვისმესთან რა დანაშაული მიგვიძღვის? ცოლი წავართვით ვისმე თუ ასული; ყანა მივითვისეთ სხვისი, თუ ვენახი? ვისი უნდა გვეშინოდეს! ეთიოპთა ქვეყანაში ხომ არა ვართ. სჯულით და კანონით ყოველ ნათესავთა შორის ქებულია სახელი ისრაელისა და თუ უკანონობა მხოლოდ ჩვენ მოძღვარზე მოვა, იმ რაბბი იიშუზე, რომელსაც აღმერთებს მთელი გალილეა, იუდეა და იორდანის გაღმა მხარე. ტვიროსით და სიდონით განთქმულია მისი ქება და აქ იერუსალიმში, ამ ჩვენ მამა-პაპათა სალოცავში, განა წარმოსადგენია, რომ იიშუს უკანონოდ შეეხოს ვისიმე ბოროტი ხელი? მთელი ხალხი ხომ ჩვენ მხარეზეა. ის ხალხი, რომელიც გუშინ წინ ბია და დანაკის კუდით გზას უფენდა და „ოსანას“ ძახილით მოაცილებდა კიცვსა ზედა კარაულისასა მჯდომარე მოძღვარს, უეჭველია, დღესაც თავს გამოიდებს იმისთვის. ამიტომ ჩვენ ამაღამვე შეგვიძლიან მღვდელ-მთავრის სასახლეში მივიდეთ და კანონის ძალით მოვითხოვოთ, რომ რაბბი იიშუ დაუყონებლივ გაანთავისუფლონ. ის ხომ აგარიანთა შთამომავალი არ არის, რომ განუსჯელად წარწყმიდონ. მეღამული ზღვის ტალღებით და ცეცხლით განსწმიდა უფალმან მამანი ჩვენნი. ზეცით გამო მანანა უწვიმა და მით გამოზარდა ორმოც წელ, უკუ აქცია იორდანე და დაუმორჩილა სოფლითი სოფლად ამშონი და მოაბი...

— მართალია, მართალია!— ახმაურდნენ ყველანი.

— რაბბი იიშუს ვინ რა უნდა გაუბედოს! ჩვენც თავი უნდა გამოვიდოთ!

— მართლაც და იმდენად როგორ შევშინდით, კაცნო, რომ ერთმანეთის ცნობაც დავკარგეთ...

— უნდა მივეშველნეთ!

— ჩვენც კაცები არა ვართ?!

— შერცხვენილი იყოს, ვინც უკან დაიხიოს!

ამ დროს მახლობლად რაღაც ფრინველმა მძლავრად შეიფრთხიალა და ერთიც საზარლად დაიჩხავლა.

ყველამ სული განაბა.

— ალბათ, ჭოტია... გასაქვავებელი!—მორცხვად გაარღვია სიჩუმე იაკობმა.

— [illegible] უნდა იყოს!—მიუგო თომამ.

— ა... ა... მძიმედ ამოიოხრა შიმონმა.

სხვები ისევ სდუმდნენ.

— კაცნო, სანამდის უნდა ვიყვნეთ ასე?—სთქვა შიმონმა.

— მართლაც და რამე უნდა ვიღონოთ,—გამოეხმაურნენ სხვებიც.

— აი, რა გითხრათ, ძმებო,—დინჯად წარმოსთქვა ნათანაილმა:—არა ერთხელ გსმენიათ, რომ მოძღვარი მართლის მთქმელს მეძახდა. ნუ კი მიწყენთ, თუ ახლაც გულახდილად ზოგიერთისთვის არა სასიამოვნოს ვიტყვი. კაცმა ცოტა უნდა სთქვას და ბევრი მოიმოქმედოს. ჩვენ კი ვლაპარაკობთ ბევრს და ვაკეთებთ ცოტას. აი ამ წუთში ჩიტმა ბუჩქებში შეიფრთხიალა და ყველას შიშით მუხლები ჩაგვეკეცა. როგორ დამაჯერებს ვინმე, რომ იმდენი გამბედაობა გამოვიჩინოთ, ამ წყვდიად შუაღამეში მღვდელ-მთავრის სასახლეში მივიდეთ და დაპატიმრებულის განთავისუფლება მოვითხოვოთ. ჯერ დავიცადოთ, ხვალინდელი დღე გათენდეს. შეიკრიბოს ხალხი ტაძარში. პასექია, გალილეველნიც ბევრნი მოვლენ. დავტრიალდეთ ხალხში, გავაგებინოთ რაშია საქმე და შეიძლება მღვდელ-ლებიტლებს შარშან წინდელზე უარესი დღე დავაყენოთ.

— მართალია, მართალია!—მოსძახეს აქეთ-იქიდან.

— მე, თუ გნებავთ, ამაღამვე ბეთანიაში წავალ და ლაზარიანთ შევატყობინებ. იქნება იქაურებმაც თავი გამოიდონ. მოძღვარი ბეთანელებს ძლიერ უყვართ.—სთქვა მათემ.

— წასვლა თუ არის საჭირო სადმე, ნუ დამზოგავთ, თუ გინდა ორ დღეში დამასკოში ჩავირბენ,—შენიშნა თომამ,—სხვა ფრივ ნუ კი მიწყენთ და, ხომ იცით, მორცხვი და გაუბედავი კაცი ვარ. ამაღამ კი არა, ვეჭობ, რომ ხვალაც მივიდე აშკარად მღვდელ-მთავრის სასახლეში. საცა გინდათ, მგზავნეთ... მღვდელ-მთავრის და ფარისევლების მოკამათეთ აბა მე რას გამოვდგები!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სევდამ და მწუხარებამ მოიცვა ყველას გული.

— ყოვლად შეუძლებელია, ამაღამვე უნდა შევიტყო, რა მოუვიდა მოძღვარს. იოანნე უეჭველია სადმე იქვე შორი ახლო იქნება და უნდა მოვძებნო,—ატირებულის ხმით წარმოსთქვა შიმონ-კეფამ:—აბა ჩემთან ვინ მოდიხართ?

— შეჩვენებული იუდა! უსინიდისო, გამცემი!—მიუგეს პასუხად.

— მე იუდას ამბავს არ გეკითხებით, ის ჩვენთვის უკვე მკვდარია. ჩემთან ვინ მოდიხართ მეთქი?—ხმა აუმაღლა შიმონმა.

ყველა სდუმდა.

— ანდრია, ძმაო, შენ ხომ წამოხვალ?

ანდრიაც სდუმდა.

— არ გესმის, ანდრია?

— ჩვენ მარტო რა უნდა გავაკეთოთ, თუ სხვებიც არ წამოვლენ?—ძლივს გასაგონად მიუგო ანდრიამ.

— რას ამბობ, ძმაო, აკი შენმა სიტყვებმა ყველას კინაღამ ფრთები შეგვასხა, ასე ჩქარა რამ დაგაშინა? შენგან არ მოველოდი მაგას!—ბრაზობდა შიმონ-კეფა.

— ეი, განდ ვინ ხმაურობს? ღვთის გულისათვის ძროხა ხომ არ გინახავთ ამ საღამოს?—მოისმა ვილაც უცნობის ხმა წალკოტის მახლობელ მინდვრიდან.

უცნობს სიტყვის დამთავრება არ დასცალდა. წალკოტში რაღაც გაურკვეველი ხმაურობა და ფოთლების შრიალი მოისმა.

— ეს რა ამბავია, მეუფეო ზეცა-

თაო?! თუ კაცები იყვნენ, რატომ ხმა არ ამოიღეს? სად გაიქცნენ?.. სწორედ მაცდური მომევლინა კაცის სახედ... ტყუილად კი არ ამბობენ, გეთსიმანია ქაჯთა ბუდეაო. ნავახშმევს აქეთკენ ცეცხლის შუქიც ლაპლაპებდა. სწორედ ქაჯები იქნებოდნენ!..—ბუტბუტებდა უცნობი და გულ-გახეთქილი შინისკენ მიეჩქარებოდა.

**უიარაღო.**

# მთესველი

მთესველი ხორბალს აბნევდა,
ამბობდა: „ეს ხალხს მშრომელსა,
უპატრონოს და ქვრივ-ობლის
გამკითხავს, თანამგრძნობელსა;
ესეც კუტსა და საპყარსა,
მუდამ ერთ ალაგს მჯდომელსა
და უსინათლოს ხელ-გაწვდილს,
სოფლის შარაზე მდგომელსა;
ესეც ჩიტსა და ტოროლას,
დილის რიჟრაჟის მთხრობელსა,
ღუღუნა მტრედსა, ქედანსა
და თაგვს მიწაში მძრომელსა“.
— შენ კი რა, თესლის მთესველო,
ადამიანო, ღვთიანო?
„ვინც დამიფასებს ჯაფასა,
ლუკმას მეც მომაწვდიანო.“
სთქვა და განაგრძო კვლავ თესვა
მან მადლიანის ხელითა;
ღმერთო, დაასწარ მომკასაც
მთესველი გულით მთელითა!

**შ. მღვიმელი.**

* * *

«აღსდგა მკვდრეთით სიკვდილისა
დამთრგუნველი... და ...ცხოვრების მომნიჭებელი.
საგალობელი.

მე ვარ ზეკაცი: ჩემში ღვივის მშვენიერება,
ჩემსა გარეშე არ არსებობს ბედნიერება!
მე ვარ მზის შვილი: ვაფერადებ სპეტაკ ბუნებას,
ვერვინ ალუდგეს ანთებულსა ჩემ სურვილ-ნებას!
ძეგლი აღვიგე და ეს ძეგლი თვით ზეცას სწვდება,
ჩემს დიდს სახელთან აჩრდილია თვით უკვდავება.
გავცილდი საზღვარს, გადვუხვიე გზას ბოროტების,
ბნელი დავთრგუნე, შევქმენ ბაღი სრულ ნეტარების.
ახალ სიცოცხლეს, სანეტაროს, ვბადავ სიკვდილით,
მაღალსა მცნებას გულს აღვუძრავ ნელი ღიმილით.
ჩემს ამაყ ძეგლსა სულით მწირნი გარს ეხვევიან,
ჰსურთ დაანგრიონ, მაგრამ,—ფრთხილად!—ქვეშ მოჰყვებიან.

**ა. შანშიაშვილი.**

# მაშინ გეტყვი...

როს ცის ნამი ყვავილთ მკერდზე
ცქრიალებდეს დასაჭერად,
როს მწირ სულის იმედი-მზე
გაცისკროვნდეს მრავალ ფერად;

* *

როს ნორჩ გულის დარდ-პასუხებს
ვამცნობ ზესკნელს, მიწას, მთა-ბარს,
როს ჩანგური დაიქუხებს
და ბნელ-ძალებს დასცემს თავ-ზარს;

* *

როცა, სატრფოვ, ტანჯულთ ცრემლი
ვარდს აესხმის მარგალიტად,—
მაშინ მითხარ: „ქრისტე აღსდგა!“
მაშინ გეტყვი: „ჭეშმარიტად!“

**ი. გრიშაშვილი.**

# სულ სხვაა!

არა, სულ სხვაა, იქ, სამშობლოში:
ტყის ლამაზ ფოთლებს ვეალერსები;
ყოველი კუთხე ჩემს განვლილს მამცნებს
და ნეტარებით ვთვრები, ვივსები...
დამწუხრებული, პირ-მოქუშული,
მთანი მაღალნი თავს დამცქერიან
და მდინარენი, ნელ-მდინარენი,
ნაზად, ნარნარად მიიმღერიან...
გაზაფხული ტყეს ამწვან-აყვავებს,
ზაფხული ქარგავს ბუნებას წყნაზარს,
შემოდგომა ხეს ფოთოლს გააცლის,
ზამთარი დასცემს გარემოს თავ-ზარს...
და ყოველივე მშვენიერია—
ბერძენთ ღმერთების მსგავსი, სადარი;
ედემი ასე მინაზებული
მიჩვენეთ, ნეტავ კიდევ სად არი?!
კუთხევ, გულისა დამატკბობელო,
კუთხევ, სულ-ხორცის წმინდა აკვანო,
ნუ განმიშორებ... შენს მკერდზე მომკალ,
რომ სიკვდილშიაც შენ გამაყვანო!..

**ახოსპირელი.**

# წამალი!

აპრილის თბილი დღეები იყო. ყველაფერი გამოღვიძებული, გამოცოცხლებული მზეს შეჰხაროდა. ზამთრისაგან სუსხნაკრავი ჯეჯილი მწვანეთ ღაღანებდა და ნელი სიო ქოჩორს უვარცხნიდა, აბიბინებდა; ყამირზე ბალახი უხვად ამოხეთქილიყო და შავი მიწა პირაღებით დაეფარა. მწვანე ხავერდი გადაჰკროდა მინდორს. ვენახებში ხეხილს შლა დაეწყო, ნუში დაყვავილებული მწვანე ფოთლით იმოსებოდა, ატამი და გარგარი, ჰიაფერად გადაპენტილი საამური სანახავი იყო; ბალი და ალუბალი, თეთრად შელესილი, ამათ მხარს უმშვენებდა. ვაზს დიდი ხანი არ იყო, რაც ტირილი გაეთავებინა და კვირტები გამოეტანა გადასაფურჩქნად.

კარგა ხანია, რაც შაშვი მოფრინდა და თავისებურის სტვენით ჩვენს სოფლის არემარეს ატკბობდა. მერცხალმაც ამ ორიოდე დღის წინად დაგვიკრა თავი და მონახა ჩვენს დერეფანში ძველი თავისი ბუდე, მას შემდეგ მისი ჭიკჭიკი ყოველდღე გულს გვილხენს. ხოლო მისი სწრაფი ჰაერში სრბოლა და ცურვა თვალს ახარებს. ბეღურებისაგან ხომ ყურთა-სმენა აღარ არის, გააქვთ მოსაბეზრებელი ჭიკჭიკი და ფრთხიალი.

მწერებიც ბუნების მეჯლისზე გამოსულან და შეუწყვეტლივ თავიანთ მაყრულს ამბობენ.

საქონელმაც ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა ბალახზე გასვლით. გომურში გამომწყვდეულს გაზაფხული ისე უხარიან, როგორც ტუსაღს ციხიდან განთავისუფლება.

გლეხიც გასულიყო სამუშაოდ მინდვრად თუ ვენახში და თავის მძიმე ღალს ეწეოდა.

ყველგან სიცოცხლე, ყველგან სიხარული და ნეტარება ბრძანებლობდა.

უხვი გაზაფხულის დამათრობელი სუნი დაჰკროდა ჰაერში და ყოველს სულდგმულს აბრუებდა, ათრობდა და ნეტარებას აგრძნობინებდა. გაზაფხული იყო, კეკლუცი და მიმხიბლავი, ჯადოსნური!

ჩვენი სოფელიც ჰგრძნობდა ამ სამოთხისებურ ცვლილებას. აღდგომაც ახლოვდებოდა! ყველანი სცდილობდნენ სიხარულით და ჯანის სიმთელით შეჰხვედროდნენ ამ დიდებულ საქრისტიანო დღესასწაულს.

მაგრამ ჩვენი მეზობელი საბრალო ვერ იღებდა მონაწილეობას ამ საერთო მხიარულებაში. გაზაფხულის პირზე, მარტში სადღაც გაციებულიყო. ისეც სუსტი აგებულობის კაცი, ეხლა ამ ახალმა ჭირმა ლოგინად ჩააგდო.

მარტო-ხელა კაცის შემწე აღარავინ იყო; ცოლი ჰყავდა და ორიც პატარა შვილი. ამათგანი ერთი ათი წლისა იყო, მეორე რვისა. უფროსი შარშან საქონელს დასდევდა, წლეულს კი, რაკი მამა ავად იყო და ვენახში სამუშაოდ ველარ დადიოდა, ვითომ ვენახსაც აკეთებდა. უმცროსი კი საქონელში მიდიოდა. დედაც ჩაეშველებოდა ხოლმე ვენახში, როცა ავადმყოფს უკეთობას დაატყობდა ან დაეძინებოდა. საქონელი კვალობაზე ბლომად ჰყავდათ: ყვავარი ხარი და ორი ძროხა. ამიტომაც ჩვენს სოფელში საბრალო უკანასკნელ გლეხად არ ითვლებოდა.

პირიქით, რამდენიც რუსის ბეგარა მოვიდოდა ხოლმე, იმდენი იმას უკრავდნენ თავს და გაგდებდნენ, გინდა მისი „ჩერედაც“ (ჯერი) არა ყოფილიყო.

საბრალო, უსიტყვო, უენო კაცი იყო არა თუ სოფელში ოჯახშიაც. სულ ცოლის ნება იყო ყველაფერში, იმას ეკითხებოდა. თუ თებროს ნება არ იქნებოდა, ლიტრიდან წყალს ვერ დაჰლევდა ჩვენი საბრალო. კინაღამ ათი წლის შვილი—ღვთისოც არ უბრძანებდა ხოლმე.

თუ კარგად მყოფისა არ ეხათრებოდათ, ავადმყოფს რაღას გაუგონებდნენ. რამდენს ეხვეწა საბრალო თებროს: წადი, მკითხავს აკითხვინე, რომ მიზეზი გავიგოთ ჩემი ავადმყოფობისა, ეგები ხატის მიზეზია; რათ ვიტანჯო ამდენი, წავალ, თავს შევავედრებ მიზეზის ხატს და მოვრჩებიო. მაგრამ კაი მთქმელს, კაი გამგონე უნდაო, თებრო კი არ იყო კაი გამგონე. იმას აეჩემებინა: მკითხავი რას მიქვიან, როგორ იქნება? მე ხომ ძველი თაობის დედაკაცი არა ვარ, რომ მკითხავებთან ვირბინო და მოვტყუვდეო. მე ახალ თაობის ქალი ვარ, დოხტური უნდა მოვიყვანო ან იქ წავიყვანო და ისე უნდა გიწამლოვო. შენ მოიცადე, სააღდგომოდ ფეხზე აგაყენებ, არხეინად იყავი; ჩემი იმედი გქონდესო.

საბრალოც დაემორჩილებოდა თავის ბედს, თუმცა გული ეთანაღრებოდა, სწუხდა. აგერ ორ კვირამდეა, რაც ავად იყო და „დოხტური“ არა სჩანდა აქ მოსული; წასვლითაც არ მიჰყავდა დოხტურთან! მაინც ითმენდა და სწამდა, რომ თებრო უშველიდა.

მართლაც, თებრო ზრუნავდა იმისთვის; ჯერ ხომ რაც შინაურულად გაეწყობოდა, სწამლობდა, ახლა ექიმის მოსვლის შესახებ ცნობებს ჰკრეფდა: ვინ იყო სოფელში ავად ისეთი შეძლებული კაცი, რომ ისინი მოიყვანდნენ ექიმს თავიანთვის, ამით ისარგებლებდა და უფრო იაფად დაუჯდებოდა მიწვევა.

აი, ამდენი ხანი იყო, არავის მოეყვანა ექიმი. არც ადვილია ექიმის მიწვევა სხვა სოფელში, გლეხი-კაცისთვის ხომ ძალიან ძნელია, რადგან ძვირად ღირს. და თუ ისეთი ჯიბე სქელი ავადმყოფი იქნება სოფელში, რომ ექიმს მოიწვევს, მაშინ ყველა ავადმყოფის პატრონები სცდილობს, ისარგებლოს შემთხვევით და ექიმი მიიწვიოს. ამისთანა მიწვევა გაცილებით უფრო იაფად ჯდება და ამიტომაც ავადმყოფის პატრონი ღარიბი ხალხი ერთმანეთში კითხულობენ მუდამ, დოხტური ვინ უნდა მოიყვანოს.

თებრომაც დაიწყო კითხვა, მაგრამ გუშინდლამდის ვერა გაიგო-რა, გუშინ კი ნამდვილად შეიტყო, რომ ხეჭრელაანთ დიდ-დედა გახდომიათ ავად და იმისთვის დღეს უნდა მოეყვანათ ექიმი. თებრო გუშინვე შეეცადა, რომ ექიმს იმისი ქმარიც ენახა; ხეჭრელაანთ თოხლუა თითონ დაჰპირდა, თქვენსაც მოვიყვანო.

საბრალოც და თებროც მხიარულად იყვნენ, რამდენადაც შეიძლება ავადმყოფი მხიარულად იყოს ექიმის მოლოდინში. იმედი ჰქონდათ შველისა.

თებრომ დღეს ბიჭი, ღვთისო, ვენახში აღარ გაგზავნა; დილიდანვე ექიმის ყარაულად ჰყავდა ხეჭრელაანთ სახლთან; თითონ კი შეუდგა სახლის მილ გება-მოლაგებას, დალაგვა-დაწმენდას, რომ იქაურობა სუფთად ყოფილიყო.

კარგა მოშუადღევებული იყო, რომ არავინა სჩანდა.

ბოლოს შემოვარდა ღვთისო სახლში ქაქანით და დედას ახარა, ექიმი მოვიდაო.

თებროს, ცოტა აჰ იყოს, გულს გადეფარა, ეგონა ჩვენს ეზოში მოსულა კიდეცაო, და დაფეთებულმა ჰკითხა:

— ჩვენსა, ბიჭო?

— არა, ხეჭრელაანთსა.

— მაშ, აქაც მალე მოვა?

— რავი... მალე მოვა, თუ არა... იქიდან ჯერ თანდილაანთსა მივაო, მერე თოხიტარაანთსა, მაცნაანთსა, ხატიაანთსა, ბაყალაანთსა, მერე კი ჩვენსა მოვა... აქედან გაჰყვება იქით უბანს და დაივლის ყველა ავადმყოფებსაო... ასე მითხრა თოხლუამ...

— მაშ, კარგა ბლომი ფულს აჰხვეტავს დღეს დოხტური!—სთქვა თავისთვის თებრომ. მერე მიუბრუნდა ღვთისოს, რომელსაც თითქმის მთელი პური ამოეღო კიდობნიდან და მადიანად ილუკმებოდა:—ბიჭო, შენც უნდა გაგაშინჯო დოხტურს.

— მე რაღათა? მე ხომ ავად არა ვარ, დედი?

— არა ხარ, მაგრამ უნდა გაესინჯო... მეც უნდა გავესინჯო, საჭიროა... რასაც მე ვეტყვი დოხტურს შენზედ, ესა სტკივა, აქა სტკივა მეთქი, შენც ჰო უთხარი, მართალია თქო... გაიგე?

— რა ვქნა, ავად ხომ არა ვარ და რათ მინდა დოხტური?

— არა ხარ, მაგრამ გინდა...

— მე წამალს არ დავლევ... დოხტურებმა დარიშხანასავით მწარე წამლის მიცემა იციანო, თქვეს... მე წამალს არ დავლევ...

— მერე ვინ გეუბნება, წამალი დალიეო, წამალს შენთვის არცა სცალიან...

— მა რათ უნდა გამშინჯო, ე ბიჭი, თუ ავად არ არის, დედა-კაცო? —მისუსტებულის ხმით შეეკითხა საბრალო ცოლს, თანაც ჰფიქრობდა, ალბათ ატყობს რასმე უკეთობას და ეხლავე უნდა, რომ სნეულებამ ხელი არ დაჰრიოს ბიჭსაო..

— შენ ჩუმათ იყავი, მე ვიცი, რათაც უნდა!.. შენ არხეინად იყავი... მალე დოხტური მოვა, წამლებს დაგვიწერს და აღდგომას შენც ფეხზე იქნები... ალერსიანად გაუგრძელა სიტყვა.

— მე კიდე ჰო... მაგრამ ეგ რაღ უნდა აჩვენო, რა სჭირს... ან შენ რა გჭირს სადოხტურო? — გაბედა კითხვის გამეორება საბრალომ, თუმცა ეშინოდა, ვაი თუ დამიტატანოს, შემითუქოსო.

— ეგ მე ვიცი, რაცა გვჭირს... ბიჭო, ფული რამდენი უნდა მისცეთო, თოხლუამ არ გითხრა?

— მგონი, ორი მანათიო...

— კაი ფულია! ჰო და ორი მანათიც მივცე და ყველანიც არ გავეშინჯოთ! რასა ლაპარაკობ?

ამ ნაირს ბაასში იყვნენ კიდევ ცოტა ხანს, მაგრამ საუბარი შეაწყვეტინა გარედან შემოძახილმა:

— თებრო, დოხტური მოდის!

თებრო დაფაცურდა; გავარდა კარში. ექიმი მართლაც ეზოში შემოსულიყო, თან თოხლიც მოსდევდა გზის მაჩვენებლად.

აქეთ-იქიდან, ორღობეებში თუ ეზოებში სოფლის ხალხი გამოსულიყო და დოხტურის სანახავად გადმომდგარიყო. ვინც კიდევ იმის მიწვევას აპირებდა, ისინი ეზოში შემოსულიყვნენ და იქ უცდიდნენ.

მზე კარგად გადახრილიყო. უფრო საამური ნელი სითბო ტრიალებდა ჰაერში.

თებრომ მიიწვია ექიმი სახლში. ახალგაზრდა ჯანღონით სავსე ექიმმა თვალი მარდათ მოავლო თებროს ოჯახს და მერე მზრუნველობით დაუწყო სინჯვა საბრალოს. თან ავადმყოფობის მიზეზი გამოჰკითხა. აღმოჩნდა, რომ გული ძალიან სუსტი ჰქონდა. თითონ ავადმყოფობა კი დიდი არაფერი იყო, მაგრამ სისხლ ნაკლებობაც დაჰმართოდა. ასე რომ მაინც და მაინც კარგი და ფაქიზი მოვლა უნდოდა ავადმყოფს, რომ ფეხზე ამდგარიყო.

როდესაც საბრალო გასინჯა ექიმმა, თებროს მიმართა.

— მკითხავისთვის ჯერ არ გიკითხვინებიათ, რა მიზეზისაგან არის?

— უი, დამიდგეს თვალები, ბატონო დოხტურო!.. მკითხავი რა საკადრისია!.. ჩვენ ხომ ძველი თაობის ხალხი არ გახლავართ; მკითხავები და ჯადოები იმათ იციან...

— მაშ, თქვენ რა თაობისა ხართ?

— ჩვენა? ჩვენა, გენაცვა, ახალ თაობისა ვართ... ჩვენ მკითხავები არა გვწამს... ტყუილად ხომ არ დავდიოდით „ჩიტინგებზედ“ და კრებებზე... იქ ყველაფერს გვიხსნიდნენ მქადაგებლები... თუმცა, გენაცვა, ჩემი კაცი ძალიანაც ჯავრობდა, ნუ დაეთრევიო, მაგრამ მე მაინც დავდიოდი... გოგუებსა და დედაკაცებს მე გაუძღვებოდი ხოლმე ყოჩივით ყველგან, სადაც კი ან „ჩიტინგი“ გაიმართებოდა ან კრება...

— დახედე ამას... შენ ნამდვილი ახალთაობის ქალი ყოფილხარ!— ღიმილით უთხრა ექიმმა.

— მაშ! თქვენა, დოხტურო, თქვენც ახალთაობისა ხართ? თუ ღმერთი გწამთ, ნუ დამიმალავთ...

— დიახ, მაგას რა ღმერთის წამება უნდა...

— აი, დოხტურო, თუმცა ახალთაობისა ვარ, მაგრამ, გინდა ძალიანაც გეწყინოს, მე ღმერთი კი მწამს... ახალთაობის ხალხს კი ღმერთი არა სწამს...

— აკი იმიტომაც მომმართად ხელი,—თვისთვის ჩაიდუდუნა თოხლუამ.

ვითომ არ გაუგონიათ, ექიმმა ქაღალდი მოიმარჯვა და რაღაც დასწერა, მერე მიჰმართა თებროს;

— აი, აქ ორნაირი წამალი იქნება. ერთი წვეთები,—მეორე ჩასაყლაპები. ოც-ოცი წვეთი უნდა ჰამის შემდეგ. ჩასაყლაპები კიდევ ჰამის დროს თითო თითო... არ დაგავიწყდეს, ან მეტი არ მისცე... კარგა დაიხსომე: ოც-ოცი წვეთი და თითო ჩასაყლაპი... აბა დროა ეხლა კი...

— რასა ბრძანებ, ბატონო... მეც ავადა ვარ და ეს ჩემი შვილიც... თუ შეიძლება წამლები დაგვიწერე...

— მაგ ბიჭს რაღა სჭირს?

— აციებს, სიცხეს აძლევს, მადა არა აქვს...

— აბა აქ მოდი ბიჭუნავ!—მოიხმო ექიმმა ღვთისო.

— რა გტკივა? მართლა გაციებს?

— ჰო... —დარცხვენით მიუგო ბავშვმა. მერე ცოტა გასინჯა კიდეც და ბოლოს დაუმატა მხრების აწევით:

— საიმისო არა ეტყობა რა... წამალს დავუწერ, ქინას, და დილ-დილაობით თითო დაალევინე ღვინოში; მეტი არა უნდა რა... შენ რაღა გტკივა... აბა სთქვი მალე...

— მე ბატონო, საშინელი თავის ტკივილი მაქვს ხოლმე, მადაც მეკარგება... გულს მეჭიდება... ასე მგონია, გულ-ღვიძლს მეხოჭნის რამე მეთქი...

— აბა ვნახო...

გასინჯა ისიც. ვერც არაფერი საეჭვო იმაში ნახა, მაგრამ თავის ტკივილის წამალი მაინც გამოწერა.

— ცოტა მეტი წამალი დასწერე, გენაცვა, ღარიბნი ვართ, იქნება დაგვრჩეს და მერეც გამოგვადგება,— სთხოვა თებრომ; გულში კი სხვას ფიქრობდა: რაც მეტი იქნება წამალი, უფრო მალე მოარჩენსო. ექიმმა პასუხიც არ გასცა. ადგა—გამოემშვიდობა და წასვლის დროს მაინც კიდევ მოაგონა, რომ წამალი ავადმყოფისთვის სიფრთხილით დაელევინებინათ და წავიდა. თან გაჰყვნენ თოხლუაც და ეზოში მომლოდინე ავადმყოფის პატრონებიც.

— ვენაცვალე ღმერთს, ეხლა კი ჩვენი საქმე ალჩუზეა,—სთქვა გახარებულმა თებრომ და ქმარს მიუბრუნდა, როცა ეზოდან სახლში შემოვიდა.

— რა იყო, როგორ არი ალჩუზე? —ჰკითხა ძლივს გასაგონის ხმით საბრალომ.

— ისე რომ დოხტური მოვატყუე, „ან მე, ან ჩემ ბიჭს სადოხტურო რა გვჭირს, მაგრამ წამალი კი გამოვაწერინე.

— მერე, რათ გინდა: მეტი ფული წაგვივა წამლებში...

— მე კი წამალს არ დავლევ და!..—კიდევა სთქვა ღვთისომ გაბუტვით.

— საშენოთ ვინ გახდის წამალს, რომ შემეხვეწო კიდეც!—შეტევით უთხრა დედამ:—მამა შენია ავად და წამალიც ამისთვის მინდა... ან მე რათ მინდა წამალი, რკინას დავკვნეტამ... ჩემი წამალიც და შენიც მამაშენს უნდა დავალევინო... ჩვენ რათ გვინდა წამალი...—მზრუნველობით ამბობდა თებრო.

მეორე დღეს წამლები გადმოატანინა. თებრომ წამლები რომ დაინახა, სიხარულმა გადაჰკრა. გამოართო ბიჭს და ჯერ სინჯვა დაუწყო, რა ნაირებიაო, უკვირდა ახალთაობის ქალს. გადმოიღო თაროდან საჭმლის ჯამი, ჩაასხა შიგ ღვინო ნახევარზე მეტი. მერე დახსნა ორთხივე წამალი და სათითაოდ სულ მთლად შიგ მოაქცევდა ხოლმე. რამდენსაც წამალს ჩაჰყრიდა ჯამში, იმდენი ტუჩების ცმაცუნით გაურკვევლად თავისთვის ბუტბუტებდა: „ღმერთო და წმინდა გიორგივ, წამლად უქციე ჩემ საბრალოს და კარგად გახადე“... გახარებული მოციმციმე თვალებს გაფაციცებით ადევნებდა თითოეულ წამლის გაშლას ღვინოში. იმედი ჰქონდა, რომ უეჭველად უშველიდა ასე შეზავებული წამლით ქმარს.

— ეხლა კი მალე გეშველება და მალეც ფეხზე ადგები, ამას რაკი დაჰლევ...

— დაიცა, დედაკაცო, დოხტურმა თქო, მგონი, ცოტ-ცოტა უნდაო... მე არ მახსოვს...

— ჰო, ეგრე თქო, მაგრამ განა დოხტურები კი სულ მართალს ამ-

ბოზენ. თუკი ცოტ-ცოტა დალევით გარგებს, სულ ერთბაშად რომ დაჰლიო, უფრო არ გარგებს?!. უფრო მალე არ მოერევა სნეულებას?! მაშ! განა ამას ჩვენ კი ვერ მოვიფიქრებთ. იმანა თქო, ოცი წვეთიო... მერე ოცი წვეთი რა არის... ტაქანში არც კი გამოჩნდება და მუცელში ხომ სულ ვერას არგებს...

— რავი... ეგრე კი თქო და...

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ... მე ვიცი, როგორც უნდა წამლის დალევინება...

— ემანდ არ მაწყინოს კი და!..

— თუ წამალია, არ გაწყენს და თუ საწამლავია, მაშინ გაწყენს, რაღა თქმა უნდა... მაგრამ დოხტური ხომ საწამლავს არ გამოგიწერდა... აბა აიღე შენ ეს ჯამი და გამოცალე... სულ შიგ მოვაქციე, თავის ტკივილის წამალიით, ციებისაც და შენთვის გამოწერილიც. სულ ყველაფერს ერთბაშათ მოსპობს...

— მეზარება რაღაცა..

— ნუ გეზარება, აიღე და გადაჰკარი... იქნება ცოტა მწარე იყოს, მაგრამ შაქარს მოგიტან და ის დააყოლე...

მიბრუნდა, თაროდან შაქრის ნაჭერი გადმოიღო და თავს დაადგა ქმარს, რომ წამალი დაელევინებინა. საბრალო წამოჯდა ლოგინში, აიღო ჯამი, გადიწერა პირჯვარი და მოიყუდა დასალევად. მაგრამ ცოტაც ძლივს დალია, ისეთი მძიმე დასალევი იყო. ჯამი მოიხსნა, საშინლად დაიღრიჯა და დაიზმუვლა ძროხასავით.

— ჰაი, შე ლაჩარო! არა გცხვენიან... დალიე... დალიე!.. აძალებდა თებრო.

საბრალოს ჯერ კი უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია, უარი ეთქვა, მაგრამ ველარა გააწყორა. იფიქრა, ვითომ არაყი დამალევიაო, ასწია და რამდენსამე წამში გამოსცალა ჯამი.

მაგრამ ის თქვენს მტერს, რაც იმას დღე დაადგა, დაჰხრუკა და დასწო მთელი შიგნეულობა. ჯამის მიცემა ძლივსღა მოასწრო, უგრძნობლად დაეცა ბალიშზე. თვალებდახუჭული უგონოდ იწვა და გმინავდა საშინლად.

თებრომ ჯამი რომ ჩამოართვა, ახლა შაქარი მიაწოდა პირის ჩასატკბანურებლად, მაგრამ საბრალოს ამის თავი აღარა ჰქონდა.

ცოლმა იფიქრა ეხლა დაეძინება და ძილი ხომ ავადმყოფისთვის კარგია, გამოიშუშება და ორს დღეზე ადგება კიდეც. აღდგომას სიხარულით მივეგებებითო. კმინვას კი ისე ხსნიდა, ვითომ წამალი ავადმყოფობას შეება და ეხლა ბრძოლა აქვთ; რა თქმა უნდა, წამალი აჯობებს და კაცი გასაღდებაო.

ცოტა ხანს კიდევ უყურა, მერე ფეხ-აკრეფით გარედ გამოვიდა, რომ არა დაებრახუნებინა რა და ძილი არ გაეკრთო ქმრისთვის. მიიარ-მოიარა ეზოში რამდენიმე ხანი. ხან საქათმეში საბუდრებს ჩამოუარა, ხან თავლაში შეიარა, ხან სათონეში. მერე კი ველარ მოითმინა და ისევ სახლში შევიდა ავადმყოფის სანახავად.

მივიდა ლოგინთან და შიშით კინაღამ გული გაუსქდა. საბრალო მშვიდს და სუსტს კაცს კი აღარა ჰგავნდა: რაღაც საზარელი სახე ჰქონდა, თვალები თითქოს საცაა გადმოსცვივდებაო, გაჰიმულ-გაძაგრულიყო.

გონება მოიკრიფა თებრომ, მივიდა ახლო, ხელი შეახო და ერთი ისეთი შეჰკივლა, რომ მეზობლებს შეჰშინებოდათ, დედა კაცს ხომ არავინა ჰკლავსო.

მოცვივდნენ მეზობლები. ნახეს, საბრალო გაცივებულიყო, თებრო კი მწუხარებით თითქმის გაგიჟებული ჰყვიროდა:

— ვაიმე თავო დაღუპულო, ვაი შვილებო დაობლებულებო... ჩამქოლეთ, გენაცვათ, ჩამქოლეთ!.. ესეც თქვენი წამალი, დოხტურის წამალი!.. წამალმა მომიკლა ქმარი, წამალმა!.. ახ... წამლის ბრალია!.. დავიღუპე!.. აღდგომის წითელ კვერცხს ველარ დაესწრო ჩემი საბრალოო!..—გაბმით გაჰკიოდა თებრო.

მეზობლები ამშვიდებდნენ თანაგრძნობით, მაგრამ დაღუპულს ადამიანს რაღა ნუგეში მიეკარებოდა!—

გარეთ ბუნება კი ისევ გაზაფხულის მზის სხივებს შეჰხაროდა და მომავალ დღესასწაულს აღტაცებით ელოდდა.

**დ. ნახუცრიშვილი.**

# სიტყვა

*პირველში იყო სიტყვა,*
*და სიტყვა იგი იყო ღმერთთან*
*და ღმერთი იყო სიტყვა.*
*იოანეს სახარებიდან.*

— საით, რები იაკობ?—შესძახა დაკონკილმა, დაფლეთილმა, თმა აბურძგნულმა და ფეხშიშველა იერუსალიმელმა გლახამ რები ისააკმა თავისთანავე გლახას, რომელიც საითკენღაც მიეშურებოდა.

— სიონის წინ ჰქადაგობს ნაზარეველი, და იქ მივეშურები. მინდა კიდევ ერთხელ დავტკბე იმის ტკბილ სიტყვით. წარმოიდგინე, მთელი დღე რომ ყური უგდო, მაინც მინდა განუწყვეტლივ ლაპარაკობდეს, და მეც სულ სმენად გადავიქცე.

— ისეთი სიჩქარით მიდიოდი, მეგონა, შენ კუჭს არა ამძიმებდა-რა. ვიფიქრე, სადმე მდიდრებს ლხინი აქვთ, და იქ მიეშურება მეთქი. აქ მოდი, აქ დადექ. მალე ხალხი დაიძვრება, და მოგვაწოდებენ რასმე... არ გინდა? მიკვირს შენი საქციელი რები იაკობ! ვერ გამიგია, რას ჩასციებიხარ იმ ნაზარეველს? ვერ გაიგე, რომ ისიც ჩვენსავით ლატაკი გლახაა? ჰმ! იუდეის მეფე!... სასაცილოა, იელოვას ვფიცავ... მეფე და ეგრეთი. აბა ერთი მითხარი, რამდენი ხანია მაგას დასდევ, ძაღლივით პირში შესცქერი, მაგრამ როგორც გხედავ, ისევ ის მშიერი, მწყურვალი ტიტველ-შიშველი გლახა იაკობი ხარ... არა, ერთი მითხარი, გაგაძღო იმისმა სიტყვებმა, შეგმოსა, გაგამდიდრა? ანდა ვის რა გაუკეთა იმისმა სიტყვებმა... უცხოელები გვბატონობენ, ხალხი იტანჯება, არსაით შველა არ არის-ის კი გაიძახის, თქვენთვის მოვედიო... კარგია თქვენმა მზემ ის იქ ჰქადაგობს. მე აქ შიმშილით კუჭი მიხმება... განა იგი იელოვასაგან არის გამოგზავნილი? იელოვას, მძლავრ, დიდებულ იელოვას მოციქული ეგრეთი იქნება.. რას ამბობთ რასა? ერთი მითხარი, სად და როდის რა გაკეთებულა ცარიელ სიტყვით? რა არის სიტყვა? იგი როგორც ჰაერი: სთქვი და გაჰქრა, ამოისუნთქე და გაჰქრა. ვერ დაიჭერ იმას, ვერ მოიხმარებ ვერც როგორ. სიტყვას არავინ გაუძღია, არავინ გაუმდიდრებია, და არც არა გაკეთებულა-რა იმით... ვგონებ, რომ იელოვასთანა ძლიერი სიტყვა არსად მოიპოვება, მაგრამ განა სიტყვით მოქმედებდა როდისმე იგი? სიტყვით გააჩინა მან ადამიანი?... არა, მიწისაგან შეჰქმნა იგი, კუჭი, ხორცი გაუჩინა, შიმშილი გააჩინა, მდიდარი და ღარიბი წარმოშობა. თუ კი მარტო სიტყვა იკმარებოდა, რაღათ უნდა და ეს ყველაფერი? რატომ არა კმაყოფილდება იელოვა მარტო სიტყვიერ ლოცვით და მსხვერპლს, ზვარაკს ითხოვს?.. განა ძლიერი არ იყო მამა აბრაამის სიტყვა, მაგრამ იელოვამ თვით მისი შვილი მოითხოვა მსხვერპლად? როდესაც ჩვენ ხალხს გზაში მოსწყურდა, განა მოსემ სიტყვით დააკმაყოფილა იგი? არა, მან დაჰკრა კლდეს და ნამდვილი წყალი აღმოაჩინა. ან არა, როდესაც მოშივდათ ჩვენებს, იელოვამ სიტყვით დაუცხრო შიმშილი? არა, მან ციდან მანანა გადმოუყარა და გააძღო ისინი. განა ნაზარეველზე ნაკლები სიტყვა და ღვთიური ძალა ჰქონდა ჩვენ მეფე დავითს, მაგრამ მან არა სიტყვით, ქვით მოჰკლა გოლიათი და დიდებით შემკო ჩვენი ქვეყანა. განა ბრძენი სოლომონი მარტო სიტყვით ადიდებდა იელოვას? არა, მან ააშენა დიდებული, მშვენიერი სიონი.., არა, რები იაკობ. სიტყვით არა გაკეთებულა-რა და არც არა გაკეთდება-რა...

— სცდები, რები ისააკ, სცდები... სცდები იმიტომ, რომ გავიწყდება ერთი რამ... გავიწყდება, რომ მაშინ, როდესაც არა იყორა, არა არსებობდა რა, მაშინ წარმოითქვა უწინარეს ყოვლისა იელოვას სიტყვა, და სიტყვა იგი იყო: „იყოს სინათლე!“ გაჩნდა სინათლე, და მან წარმოშობა მთელი ქვეყნიერება, მან შესაძლო ჰყო თვით ადამიანის გაჩენა, თვით ცხოვრების ჩასახვა... შეხედე ამ ბრწყინვალე მზის შუქს, შეხედე, როგორ ეთამაშება იგი აგერ იმ თუთის მწვანე ფოთლებს, როგორ დაჰხარის ხუჭუჭ ბზის ბუჩქებს, როგორ ავარვარებს მწვანე გორაკებს, აბა უყურე აგერ ის ვარდი ლობეზე რომ გადმოშვებულა, სიამოვნებისაგან როგორ გაწითლებულა, როგორ უცინის ამ მზის შუქს?.. ეს შუქი მზისაა, მზე სინათლემ წარმოშობა, ხოლო თვით სინათლე შეჰქმნა დიდებულმა, ძლიერმა სიტყვამ. იელოვამ იცოდა, რომ სიტყვა უძლიერესია, რომ სიტყვა ყველაფრის წარმომშობია, და აკი პირველი მისი მქნილება სიტყვა იყო. მას მოჰყვა სინათლე, და სინათლეს ყველაფერი დანარჩენი. არა, რები ისააკ, ძლიერია სიტყვა... დაღალულ, გახარებულ გულზე, რომ დაეწაფები წმინდა ანკარა წყაროს, მერე რომ წამოწვები რბილ, ჟუჟუნა მწვანეზე, იგრძნობ კეკლუც ყვავილების სურნელობას, ან არა და როდესაც მიაწვდენ ხელს ქარვასავით გაყვითლებულ ყურძენს, ან მოსწყვეტამ სიმწიფისაგან გამსკდარ ტკბილს ლეღვს, არა ფიქრობ, რომ ყველაფერი ეს შეჰქმნა მზემ, სინათლისაგან წარმოშობილმა, და თვით სინათლე კი ძლიერმა დიდებულმა პირველმა სიტყვამ გააჩინა... არა, რები ისააკ, სიტყვა ძლიერია! არ დაიჯერებ, რომ ვუგდებ ყურს ნაზარეველის სიტყვებს, რომ ვტკბები და ვთბები იმათ ბრწყინვალე შუქში, მავიწყდება მშიერი კუჭი, ჩემი ძონძმანძები, ჩემი ტანჯვა და გოდება. მაშინ მრწამს, რომ იგი ჩვენთვის არის მოსული, მრწამს, რომ ჩვენია სამოთხის ვარდი, რომ ჩვენ გველოდება მამა აბრაამის მკერდი... არა, რები ისააკ, ძლიერია, დიდებულია სიტყვა!

— თავი ჩაღუნა რები ისააკს, გაყუჩებული იდგა. ერთ წუთს დააცქერდა მას რები იაკობი, მერე გაბრუნდა და გასწია... სიონისკენ.

— ნახვამდის, რები ისააკ,—შორიდან მოესმა რები ისააკს...

იგი ცოტა ხანს კიდევ იდგა გაყუჩებული. მერე აიღო მაღლა თავი, შეჰხედა ბრწყინვალე მზეს, ოდნავ გადადგა ერთი ნაბიჯი, მერე მეორე... მესამე... აუჩქარა შემდეგ ფეხი და გასწია... რები იაკობისკენ. იქით, საიდანაც მოისმოდა... მარტო სიტყვა, სიტყვა წყნარი, მაგრამ ძლიერი, დიდებული. სიტყვა საწყალ, გლახაკ ნაზარეველისა.

**ხოხო.**

# მანასე

გენისარეთის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ანკარა, აუწქარებელი ჰქრომაქსი თავდაჭერილად, თითქოს მორცხვობსო, ერთხმოვან დუდუნით ერთვის დიდებულ წარსულით ამპარტავან იორდანეს, გადაჭიმულია თვალგადაუწვდომელი მინდორი. მინდვრის ბოლოს რკალივით მოხრილან, თანდათან მაღლდებიან და სადღაც შორს, თითქოს ცას ებჯინებიან ზამთარ-ზაფხულ მწვანე, ზეთის ხილით და ლეღვის ხით დაბურული მთები. თითქოს უხილავ ხელს ვებერთელა, ცოცხალ ყვავილებისაგან აკინძული გვირგვინი უშორავს მაღლიან ადგილის თავზე. იორდანის მარჯვენა ნაპირიდან, სადაც წამოსადეგი თაბორის მთა მედიდურად გადაზნექილა და ნელნელა ძირს ეშვება, რომ კარგად გაიგონოს, რასაც უპატრონო ქვრივის კილოთი მოუთხრობს მას მრავალწლიანი მდინარე, ეს მხცოვანი მოწამე ისრაელის დიდებისა და დაბეჩავებისა.

ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს იქაურობა დღეს. უფრო მშვენიერი იყო ეს არა მარტო იმ ხანებში, როცა ეს მინდორი უთვალავ სოფლებით არ იყო აჭრელებული, როგორც ეხლა და არც ერთი ხელოვნური საგანი არ დარავდა იმის ხელუხლებელ პირისახეს. გალილეველი იესო, ადამიანის ვერაგობით გულნატკენი, ხშირად მარტოდ-მარტო ეწვეოდა ხოლმე ამ ქალწულებრივ უმანკო ადგილებს, რომ მარტოობით და ბუნებით დამტკბარიყო.

იგი მთების თავზე ადიოდა, საიდგანაც ხელის გულივით ეშლებოდა თვალწინ აღთქმული ქვეყანა და გადარჯულებული და ერუსალიმი რომაელთა ჯარი ბანაკითურთ.

მხოლოდ აქ ისვენებდა იესო. ისვენებდა და უნებურად სტიროდა, რადგან ბრბოს, რომელიც დღე და ღამე გარს ეხვია, ვერ შეეგნო მისი მოძღვრება. კუჭის მონებს ვერ მოენელებინათ უდიადესი ჭეშმარიტება, რომ მაძღარ მონობას გაცილებით სჯობია მშიერი თავისუფლება...

ახლაც ამ მთებისკენ გაიეჯურებოდა იესო მოძღვარი. სევდა და მოუთმენლობა ეტყობოდა. მარტოდ დარჩენა და დასვენებული აზროვნება ენატრებოდა. ხედავდა, რომ მოჰბეზრებოდა ბრბოს უთავბოლო ყაყანი და თუ საბოლოოდ გული არ გასტეხოდა, უიმედ შემთხვევაში ამათი მოშორება და უტყვ ბუნებასთან სიახლოვე სწყუროდა.

ეხლაც ყურში ედგა ყაყანი ხალხისა, რომელიც დღეს იესომ ამ უდაბნოში, სადაც რკოსა და მწვანე მწარე ზეთის ხილის გარდა, არა იშოვებოდა-რა, თეთრი პურით გააძღო. არა თუ გააძღო, თორმეტი გოდორი ნამტვრევიც კი დარჩა.

„მუდამ და ყველგან ასეთია ბრბო,—ფიქრობდა მოძღვარი და სცდილობდა როგორმე თავი დაეღწია: გაძღობ—შენია, სხვა გააძღობს—სხვისია. აბა ერთი ტკბილი სასმელი დაალევინოს კეისრის მოადგილემ და ან ჯიბეში ფული ჩაუჩხრიალონ მღვდელმთავრებმა, როგორ ჩქარა გამოიცვლიან აზრს ჩემზე! შიში, ჯიბე და კუჭი. წყეული საგნები... თვით ჩემი პეტრე გარიჟრაჟებამდის მიდალატებს და საჭირ უარმეოფს, ეს ხროვა კი წინა დღის დადამებამდინაც... ყველაზე ადრე ის მიდალატებს, რომელმაც საუკუნოდ ერთგულობა შემომფიცა შაბათ დღეს“.

და იესოს თვალს წინ წარმოუდგა გრძელწვერა ებრაელი, რომელიც, დამბლით დაუძლურებული, ოცდათვრამეტი წლიწადს იწვა ერუსალიმის შესავალ კარებთან ზეკარდმა სასწაულებრივ განკურნების მოლოდინში. იესომ ის ერთი ნუგეშისცემით აღადგინა.

„შენ გინდა ჯანმთელი იყო და როგორც სხვები, ისე დადიოდე? ხომ ასეა? მაშ შეგიძლიან ადგე და იარო“.

ასე უბრძანა მაშინ გულთა მხილავმა—და მანასე (ასე ეძახდნენ იმ ებრაელს) დაუყონებლივ ადგა და გზას გაუდგა... მაგრამ ამ განკურნებულს დაებეზღებინა განმკურნებელი, რომ მან, იესომ, შაბათის უაზროდ და უსაქმოდ გატარების კანონი დაარღვიაო.

დადამებისას ყველა თავის გზას გაუდგა: ხალხი შინისკენ წავიდა, რომ დაეძინა, მოციქულები გალილეაში, რომ კეისრის და მღვდელ-მთავართა მოხელეების გულის წყრომა თავიდან აეცილებინათ; იესო ნაზარეველი კი საყვარელ მთების ციცაბო ბილიკს დასდგომოდა, რომ ერთხელ კიდევ დამტკბარიყო მარტოობით და განთიადისას თავისუფლად დაეძახნა, თითქოს ხელის გულზე გაშლილ ქალაქისთვის: „ვაი შენ, იერუსალიმ! შენში ქვა ქვაზე არ დარჩება... ისინი დაგანგრევენ, ვინც დღეს მეტ ძილს გირჩევენ და შენ კი მოყვარენი გგონია...“

* *
*

— რას ამბობ, შე ცუდლუტო?! როგორ უბედავ იელოვას მოადგილეს ასეთ პასუხს?

და გრძელ წვერამ სილა შემოჰკრა იესოს, რომელიც ხელებ შეკრული, უძლურობისა და ცემისაგან ფერმიხდილი თამამად იდგა მღვდელ-მთავრის წინ. ტულაშუნის გაგონებაზე მღვდელმთავარმა თითქოს სიამოვნებით გაახარხარუნა ძვირფას თვლების კრიალოსანი და უფრო აშკარად გაიღიმა, ვიდრე დიდებულ გვამს შეეფერებოდა. გალილეველი კი თითქოს წინდაწინ მოელოდა ამ შეურაცხყოფას და მომზადებული იყო იმისთვის.

— შენცა მანასე?!—დამშვიდებული შეეკითხა იგი მოსყიდულს, რომელიც ვერაგულის დაქნეცით თვალში შესცქეროდა ნასიამოვნებ მღვდელ-მთავარს, რომ გაეგო, თუ რა ჯილდოს მიიღებდა ერთგულობისთვის.

— დიახ.. დიახ, მე... გახლავარ,—მანასე დაიბნა და სცდილობდა დამშვიდებულიყო:—აკი შენ მითხარი, როცა მომარჩინე, ძე ღვთისა ვარო... მე მაშინაც მეწყინა ამნაირი ღვთის გმობა... შენ არ მითხარი ტაძრის ეზოში მღვდელ მთავრები მატყუარები არიანო?.. რომის კეისარს ხარკი არ მისცეთო?.. შენ... შენ... შენ...

და რადგან მეტი ვერაფერი მოუსაზრებინა მღვდელ მთავრის სასიამოვნოდ, კიდევ სილა შემოჰკრა უძლურ ბრალდებულს.

* *
*

„პირველშაბათი“ იყო. სხვა დროს ამ დღეს ბაზარი ცარიელია ხოლმე. მუშტრის მოლოდინში მზის ამოსვლიდან ჩასვლამდის მოწყენილად ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს წვრილი მოვაჭრენი. უფრო გულდამჯდარი ვაჭრები არც კი აღებენ კარებს.

დღეს კი ხალხით გაჭედილი იყო ბაზრის მოედანი. ბრბო ქოთქოთებდა. აქა-იქ ჯგუფდებოდა. ყველა ლაპარაკობდა, ერთმანეთს არ აცდიდა.

ხან ერთ ჯგუფში ამოჰყოფდა თავს მანასე, ხან მეორეში. ყველგან ჩვეულებრივ ურცხვად სტყუოდა.

— ჩემი თვალით ვნახე, ხალხო, რომ აღსდგა,—თავგამოდებით იმეორებდა იგი ერთსა და იმავეს და ხრინწიანი ხმა თანდათან ელეოდა:—იქ გიყავი. თვითონ ვხედავდი, რომ აღსდგა.

— მართალია, აღსდგა... აღსდგა,—უყაყანებდა ბრბო:

— მეც ვნახე...

— მე იქ ვიყავი...

— კიდევ გვაჩვენებს სასწაულებს...

— კიდევ გაგვაძღობს...

„აღსდგა თუ არ აღსდგა, ჩემთვის სულ ერთია. მე ორივე შემთხვევაში მოგებული ვარ“—ღიმილით ფიქრობდა მანასე და მოღიმარე და აღტაცებული მიეშურებოდა ახალ ჯგუფისკენ.

**ახელი.**

# ჩემი დემონი

შუაღამის 12 საათი იყო.

ეკლესიების ყველა ზარებმა ერთხმად დაიწკრიალეს. ხალხი მორთულ-მოკაზმული ქუჩებში გამოეფინა. ყველა ეკლესიისაკენ მიეჩქარებოდა.

ორმოცდა რვა დღის მარხვა-ლოცვის შემდეგ: წითელი კვერცხი, „ქრისტე აღსდგა!“ და ხვევნა-კოცნა...

მშვენიერია! წელიწადში მხოლოდ ერთხელ იტყვი ხოლმე დიდებულ „ქრისტე აღსდგა!“ და ერთხელ გაიგონებ ჭეშმარიტ სიტყვას: „ჭეშმარიტად აღსდგა!“

გიხარიან, აღტაცებული ხარ, გული გიფართხალებს, სახე გიცინის; გინდა ყველას მოეხვიო, გადაჰკოცნო, თვით მოსისხლე მტერიც კი. ფეხ ქვეშ ნიადაგს არა გრძნობ, თითქოს ფრთები შეგასხეს და ეს-ეს არის გაფრინდები.

ბუნებაც შენ გბაძავს,—ახალის სამოსელით მოკაზმული იცინის და კისკისებს. მზეც რომ სხვანაირად ამოდის. ჯერ ნაპერწკლებს ამოჰყრის, მერე პეკლუცად ნაპირს გამოაჩენს, ბოლოს ამოცურდება და თანაც თამაშობს.

ყველაფერი ეს ავადმყოფს, დავრდომილსაც კი ძალას მატებს, განდგომილს სარწმუნოებრივ გრძნობას უღვიძებს და ყველანი ეკლესიისაკენ მიილტვიან.

მეც გულის ფანცქალით ტანთ ჩავიცვი და წასასვლელად მოვემზადე.

— საით მიდიხარ?—შემომძახა ვიღაცამ.

ოთახში არავინ იყო. შიშმა ამიტანა. მივიხედე—კარებში ვიღაცა შავად მოსილი ატუზულიყო. მრისხანე სახით შემომცქეროდა. ხმას ვერ ვიღებდი. შიშისაგან ენა დამება. კითხვა გამიმეორა.

— ეკკლესიაში...—ძლივს წავილუღლუღე.

— ჰმ!.. სალოცავად განა?—იგი დამცინოდა.

— დიახ, სალოცავად!—გაჯავრებულმა უპასუხე.

— თავს იტყუილებ...

— როგორ თუ ვიტყუილებ?

— მაშ გრწამს?

— მრწამს...

— მხოლოდ სიტყვით...

— არა, საქმითაც...

— ხა, ხა, ხა!...

საშინელი სიცილი იყო.

— გრწამს ღმერთი, შურის მაძიებელი, სისხლის მოყვარული, გრძელწვერა მოხუცი, რომელიც... გააიაფეს მას შემდეგ, რაც უნიჭო მხატვრები გამრავლდნენ?!.

იმის თავხედობით აღშფოთებულს შიში დამავიწყდა, ძალა ვიგრძენ.

— დიახაც მრწამს!... სუფევს მოწყალე ღმერთი!..

— ხა, ხა... „მოწყალე“... მოწყალება უსაზღვრო, განუზომელი... არა-რას მომცემი... კატამ რომ კუდი გაიქნიოს—ღვთის მოწყალებად მიგაჩნიათ. თქვენც აკი სამაგიეროს ხვდით თქვენს მოწყალე ღმერთს... სისხლს ასხამთ, ადამიანებსა სწირავთ... „წყალობითა ღვთისათა.. ჩამოახრჩეთ, დახვრიტეთ, თავი მოჰკვეთეთ. . სამუდამოთ საკანში ჩასვით“... ღმერთი, სისხლის მოყვარული, შურის მაძიებელი, ადამიანის ტანჯვა-ვაების გულგრილად მაცქერალი და მოწყალე... კარგი მოწყალებაა! სწორედ თქვენი, ადამიანთა შესაფერია! იმიტომაც ეგრე მტკიცედა გრწამთ, რომ მის „სადიდებლად“ აგრე გტანჯავენ... ლმობიერად რომ გექცეოდნენ—დაგავიწყდებათ... სინამდვილის წინ თვალებს იბრმავებთ, ოცნებას ეთაყვანებით... თავს იტყუილებთ, ბრმებო!

ნიადაგი მეცლებოდა, მამარცხებდა.

— მრწამს ქრისტე ღმერთი, ძე უფლისა, ქვეყნის მხსნელი, რომელმაც დათრგუნა ბოროტი და... მრწამს მისი უკვდავი სიტყვები: ერთობა, სათნოება, სიყვარული...

— მერე თუნდ ერთ მათგანს ასრულებთ?

— არა თუ ერთს, ყველა მცნებას ვასრულებთ.

— ხა, ხა, ხა!..

სიცილი საზარელი, შიშის აღმძვრელი იყო.

— ადამიანი ფლიდი, მატყუარა, ბოროტია. „ყველა მცნებას ასრულებთ“! რომ არც კი სცხვენიანთ! ქრისტეს სახელით ნელ ცეცხლზე სწვავდით, აწამებდით ჰკლავდით... და იმის მცნებას ასრულებდით!.. ყოველ დანაშაულის გასამართლებლად ენაზე ქრისტე გაკერიათ. გეუბნებიანთ „ქრისტე აღსდგაო!“ და თქვენც გიხარიანთ: „ჭეშმარიტად აღსდგა!“ დასჯილნი, ჩამომხრჩვალნი, თავმოკვეთილნი გავიწყდებათ... ანუ ძალად ივიწყებთ... თქვენ ხომ კარგათა ხართ—სხვისა რა დარდი გაქვთ?!. „ერთობა, სათნოება, კაცთმოყვარეობა“... ჰმ! რა განსხვავებაა თქვენთვის ამ ორ სიტყვის შორის: „ქრისტე აღსდგა!“ „ჩამოახრჩეთ!“ მღვდელი, ერი,—ყველანი ერთნაირის აღტაცებით ამბობთ. ნერონი თქვენზე პატიოსანი იყო... რათ გაგიკვირდა? თქვენზე მეტ პატივსა სცემდა ქრისტეს. ნერონი ჰკლავდა, ახრჩობდა, ცოცხალ ჩირაღდნებს მართავდა, მაგრამ ამას ქრისტეს სახელით კი არ სჩადიოდა,—ასე მოსწონდა! არა გჯერა? არც იმას დაიჯერებ, რომ ეხლანდელი „ჯვარი“ უარესი გახდა, ვიდრე ქრისტეს დაბადებამდე იყო... არა გჯერა? მაგრამ არ გინდა გამოტყდე... ძველად ჯვარი ბოროტებისა და სიბილწის სიმბოლო იყო... ჯვარზე გააკრავდნენ ხოლმე მოღალატეს, კაცის მკვლელს, ქურდს, ავაზაკს, მრუშს... იმ დროის პატიოსანი და სათნო ადამიანი ჯვარს ახლოს არ გაუვლიდა, შეურაცხყოფად მიაჩნდა. და თუ სადმე უცაბედად წააწყდებოდა, პირს იბრუნებდა და გარბოდა... იმ დროში ჯვარსაც იშვიათად ნახავდი. მთელ სახელმწიფოში ორ-სამს ადგილას თუ იყო, სადაც დამნაშავეებს სჯიდნენ... აი ისე, როგორც თქვენი სახრჩობელები... მაგრამ რა შედარებაა: თქვენ მიშინდელ ხალხზე უფრო განათლდით, კულტურა განავითარეთ, ამ მხრივ დიდი ნაბიჯი წასდგით წინ: თქვენ სახრჩობლები გაცილებით მეტი გაქვთ, ვიდრე მაშინ ჯვრები იყო. ძველად თუ მთელ სახელმწიფოში ორი ჯვარი იყო,—ეხლა თვითეულ თქვენს ქალაქში სამ-სამი სახრჩობელაა ამართული... ეხლა რომ თქვენ შორის სათნო და კაცთ-მოყვარე ადამიანი დაიბადოს, უნდა თავი მოიკლას ან სახლში ჩაიკეტოს... გარედ ვერ უნდა გამოვიდეს, ყოველ ნაბიჯზე, სადაც გაიხედავ, ჯვარი და სახრჩობელა, სახრჩობელა და ჯვარია... თქვენ გგონიათ, ჩვენ ჯვარს გავურბით? არა,

მაგით ვერ შეგვაშინებთ? ჩვენ დატანჯულ ადამიანების აჩრდილებს გავურბით და თუ ვიკლაკნებით—გვეზიზღება თქვენი ფარისეველი და დამშვიდებული სახეები... ამიტომაც გავრბივართ. რას იცინი, სათნო ადამიანო? რა მოუვიდოდა კაცობრიობას, რომ ყველაფერს ისე ხედავდეს, როგორც ჩვენ? აი, ამიტომაც დავძრწით, ადგილი ველარ გვიპოვნია... საცა მივალთ, ყველგან თქვენი ნამოქმედარი გვიხვდება. ივანე მრისხანეც „სათნო“ იყო ისიც ლოცულობდა. მერე როგორ ლოცულობდა! იმის სამლოცველოში დღის სინათლე კი არ შედიოდა. „ლოცვის დროს ყოველსავე მიწიერს უნდა მოშორდეო“, იტყოდა ხოლმე .. ასე ძლიერ სწამდა ღმერთი. ადამიანის სისხლი-კი უყვარდა: შვილი რომ მოჰკლა, მთელი კვირა სამლოცველოდან არ გამოსულა—ღმერთს ავედრებდა „ახლად გარდაცვალებულს“. ამ!.. სასაცილო არ არის თუ?! ასეა, ღმერთი, ჯვარი, სათნოება—თქვენთვის პატენტია! აი ისე, როგორც მრუშ დიაცისათვის—ქმარი. წადი ეკლესიაში—ილოცე, რაღას უყურებ?! დღეში ასჯერ გააკრავთ ქრისტეს ჯვარზე, დღეში ათასჯერ იმის მცნებას ტალახში ამოსვრით—წელიწადში ერთხელ იდღესასწაულეთ მისი „მკვდრეთით აღდგომა“. რას შემიამცქერი? ვიცი, მკვდრის გაცოცხლება არა გწამს... „ქრისტეს მცნების, მოძღვრების გამარჯვება“ იდღესასწაულეთ. სათნოვ! ერთხელ რომ ქრისტეს აღდგომას დღესასწაულობთ, რამდენჯერ უნდა იგლოვოთ მისი სიკვდილი? მთელი თქვენი სიცოცხლე არ გეყოფათ ცრემლის საღვრელად. კაცთ მოყვარევ! სარწმუნოების დამცველნო! ესეც ალბათ სჯულში გიწერიათ, ჯვრით ხელში რომ ხოცავთ ხალხს. სისხლის მღვრელთ ჯვარ-მენდლებით აჯილდოვებთ... როცა მოკვდება—ძეგლსაც დაუდგამთ... მაშ როგორ იქნება, უნდა უკვდავ ჰყოთ იმისი სახელი, რომ ქრისტეს ჯვარი კარგად აბანა სისხლში. დახოცილთა ქვრივობოლნი-კი შიმშილით იხოცებიან... ესეც კაცთმოყვარეობაა, სათნოებაა. ერთმანეთის სიყვარულში ხომ სული გელევათ. ბუნებას, სტიქიას ებრძვით, მთელი საუკუნეები მუშაობთ, წვალობთ და სულ ერთმანეთის საჟლეტ მანქანებს იგონებთ. ვინც უკეთეს მანქანას გამოიგონებს, მეტს ამოსწყვეტს—მეტ ჯილდოს აძლევთ. ერთი გაგექცათ, მოშორდა დედამიწას—ჰაერში აფრინდა... ორი ადლის სიმაღლეზედაც არ აშორებია დედამიწას. მეორემ ზარბაზანი გამოიგონა, პირი მაღლა აიშვირა და წინ დაუყენა. გასრისეთ, გასჭყლიტეთ, მოჰკალით, ჩამოახრჩეთ! რა გიშავთ, პატენთი კარგი გაქვთ,—ღმერთი, ქრისტე, ჯვარი, წმინდანები, ხატები. ჰმ! თქვენდა საბედნიეროდ, ადამიანის ხორცი იხრწნება ჩქარა, ძვლები კი დიდხანს ინახება მიწაში... ხან ერთს მკვდარს ამოაგდებთ საფლავიდან, ხან მეორეს... ჯერ ჩამოახრჩეთ, მერე წმინდანად აღიარეთ,—მორთეთ ოქრო ვერცხლით, მარგალიტებით... ილოცეთ—კაცობრიობა შეავედრეთ. მდიდარი ხატი ძლიერია, მეტ დანაშაულსაც გაპატიებთ. სცარცვეთ ერთმანეთი—ნახევარი თქვენ, ნახევარიც—ხატს. რათა გძულთ იუდა, რომ არ ვიცი?! რისთვის უგზავნით მუდამ დღე წყევლა-კრულვას?! თქვენზე მეტად უყვარდა მას ქრისტე, თქვენზე მეტადაც დააფასა. ოცდა ათი ვერცხლი მაინც აიღო.. სინიდისის ქენჯნაც იგრძნო და თავი ჩამოიხრჩო. თქვენა? თქვენი იუდები გროშათა ჰყიდიან ქრისტეს და არც ერთხელ სინიდისის ქენჯნა არ უგრძვნიათ. ძალზე კი გაიაფეს. ერთის, მხრივ არც საკვირველია: იუდები მეტისმეტად გამრავლდნენ. რამდენია, მთელი ხროვაა, ყველას ხომ ოცდა ათ ვერცხლს ვერ მისცემს. ზოგი დიდი, ზოგი პატარა. ყველა ჰყიდის, საქონელი კი არ ილევა. ყველა ყიდულობს და იაფად... უფრო ხელსაყრელია. გესმის, რა აღტაცებით ულოცავენ ერთმანეთს? როგორა სტყუვიან. ტუჩებში ჰკოცნიან, გულში კი გველები უსისინებენ... დღეს მაინც ყველას გველი ჩვეულებრივზე აწრიალებულია—ვისაც არ გინდა უნდა აკოცო. გძულს, გეზიზღება. მაინც უნდა აკოცო. ასეა, უნდა თავი მოიტყუო, სხვაც მოატყუო—დიდი დღესასწაულია! ჰმ, მთელი თქვენი ცხოვრება სიცრუეა, სიყალბე და ბოროტებაა! საწყალი, საზიზღარი, სულმდაბალი ადამიანი! მთელ სიცოცხლეში ერთხელაც ვერ უთქვამს მართალი. განაგრძეთ ეგრე, წმინდანები ბევრი გყავთ—გაპატიებენ! „დემონი“, „სატანა“, „წყეულნი სულნი“, ღვთისაგან განრისხულნი დაძრწიან და მოსვენება ვერსად უპოვნიათ. კარგი სახელებით კი მოგვნათლეთ! ან ვის უნდა განვედევნეთ? არა, ჩვენ თითონ განვშორდით... ვსცანით ყველაფერი, შეგვეზიზღა თქვენი ფლიდი, მატყუარა სახეები და განვედით. მართლა რომ თქვენი ღმერთი ხედავდეს ყველა თქვენს საზიზღრობას, როგორ დაგსჯიდათ, როგორ გაწამებდათ. მაგრამ, არა, სასჯელისა და წამების ღირსნი არც კი ხართ. ეს მეტად დიდი პატივი იქნებოდა თქვენთვის... ბრძენ ადამიანთ დასჯიან ხოლმე. თქვენ მხოლოდ გაწკეპლის ღირსნი ხართ. ამდენი საუკუნე სცოცხლობთ და ისევ ბავშვებათ დარჩით... ექვსი ათასი წლის ბავშვები, ბალღები... ხა, ხა!.. არა გყავთ ჰკვის მასწავლებელნი... ჩვენ ვერას გავხდით—ცოტანი ვართ და უვიცნი კი მეტად გამრავლდით...

ზარებმა წინანდელზე მხიარულად დაიწკრიალეს. ფანჯარაში გაკრთნენ. ეკლესია გაჩაღებული იყო.

„ქრისტე აღსდგა!“ აღტაცებით დასძახა მღვდელმა და ჯვარი მაღლა აღიმაღლა.

„ჭეშმარიტად აღსდგა!“—უპასუხა ხალხმა და ერთმანეთს კოცნა დაუწყეს.

— ხა, ხა, ხა!.. გადიხარხარა საზარლად. მაინც წახვალ?

— ??

ვალ. შალიკაშვილი.

## კუდიანი ვარსკვლავი

ძალიან სამწუხარო ამბავი მოიტანეს გუშინდელმა დეპეშებმა: ევროპისა და ამერიკის საუკეთესო ასტრონომებს აღმოუჩენიათ, რომ ის წყეული კუდიანი ვარსკვლავი, გალეის კომეტად წოდებული, სწორედ დღეს, ჩვენებურად 18 აპრილს, ხოლო ევროპიულად პირველ მაისს დაეტაკება დედამიწას და სულ ერთიანად გაანადგურებს ამ ჩვენ ცოდვილ ქვეყანას. ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელ დედამიწას და, სხვათა შორის, საქართველოსაც. რასაკვირველია, ყველა დაალონა ამ ამბავმა. გუშინ, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მოწოდებით, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისში. ჩამოვიდნენ საქართველოს მივარდნილ ადგილებიდანაც. თათბირი იყო იმაზე, თუ როგორ გადაერჩინათ საქართველო. ზოგმა რა სთქვა, ზოგმა-რა. ვ. გუნიამ განაცხადა: ტფილისის ღვინის სარდაფებს შევაფაროთ თავიო. „ზაკ.“ რედაქტორმა თავ. გ. ამირაჯიბმა სთქვა: დეპუტატთა საკრებულოს ვთხოვოთ, ფული გადასდოს ჰაეროპლანის გასაკეთებლად, მე ჩემი დამქაშებით წავალ ამ ჰაეროპლანით და კუდიან ვარსკვლავზე მყოფთ მუშტით სულ ცხვირ-პირს ჩავამტვრევო. მღვდლებმა სთქვეს: ცხვრები დავკლათ და მსხვერპლი შევწიროთ უფალს, მხოლოდ თავ-ფეხი და ტყავები სხვაგან არსად წაიღოთ, აქ ჩვენთან მოიტანეთო. მიშა მაჩაბელმა აიჟინა: რას ამბობთ, რის დაღუპვა, რის ფლავი, რის ბოზბაში, თუ კუდიანი ვარსკვლავი საქართველოში ჩამოვარდა, ახალი ტერიტორია შეგვემატებაო. ადვოკატებმა იოს. ბარათაშვილმა, იოს. მაჭავარიანმა და ალექს. ყანჩელმა სთქვეს: ახლავე თხოვნას დავწერთ კუდიან ვარსკვლავზე და საჩივარს შევიტანთ სენატშიო. გრიგოლ დიასამიძემ სთქვა: მოჰიდავე მაისურაძე დავიბაროთ და როგორმე დაგვიხსნისო. Baton-მა მწარედ წამოიძახა: ეეჰ, მაინც გადავგვარდით, დეგენერატები გავხდით და რაც ადრე მოგვეღება ბოლო, მით უკეთესი იქნებაო. ტფ. სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სულ ახალი აზრი შეიტანეს: ეს უბედურება იმიტომა ხდება, რომ სახალხო თეატრი ბურჟუაზიულმა ელემენტებმა სახალხო უნივერსიტეტს ჩამოაშორეს, შევაერთოთ ისევ ეს ორი დაწესებულება და გადავრჩებითო. ბევრი რამ სხვაც ითქვა საგულისხმოერო, მაგრამ ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ, იგი შეეხო ფილოსოფიას პლატონიდან სოლოვიოვამდე და ყველას ნათლად დაუმტკიცა, რომ ქვეყანას აღარაფერი ეშველება და უეჭველად დაიღუპებაო. ამ ღრმა ფილოსოფიურმა დასკვნამ ყველას ცივი წყალი გადაასხა. ყველას იმედი დაეკარგა და ყველა თავის დარდსა და ვარამსღა მოსთქვამდა.

ღმერთო, ყველა დაიფარე,
მოუმართე ხელი ერთგულს,
მიეც ძალი ნუ დაამხობ,
ინტელიგენტს გარუსებულს.
მხოლოდ ერთსა ხაჩატუროვს
მეხი, რისხვა, დაატეხე;
ნურც დაინდობ გოთუასა,
ტანს კისერი მოატეხე!

„ზაკავკაზიეს“ რედაქტორი გ. ამირაჯიბი. მისი უგანათლებულესობის ბრძანებით ხელს აწერენ ყველა დანარჩენნი თანამშრომელნიც.

ვაჰ, რა დავკარგე შრომა და ღვაწლი,
ჩემსა ამაგსა ვინ დააფასებს?
ნეტა დამცალდეს და მაშინ ჰნახავთ,
ვით ეს კალამი სხვას გააფასებს.
თვალს დაუყენებ „ზაკავკაზიეს“,
არცა „ლისტოკი“ შეგებრალება;
ოდეს „კოჟინი“ დაიგუგუნებს
ყველა შეკრთება და შეშინდება,
მაგრამ, ვაი, რომ მოდის ვარკვლავი
და, ჩვენ საბრალოთ ბოლო გველება!

„ნოვაია რეჩის“ რედაქტორი გოთუა. ხელს აწერენ: არსკი, ტყავაძე, ბებიაშვილი და სხვანი.

მივახწიეთ ჩვენს საწადელს,
პროლეტარად ყველა გახდა;
მაგრამ ეხლა კუდიანით
დაწყებული საქმე წახდა!

„ჩვენი გაზეთის“ რედაქცია.

ანგარიშსა ვერვინ მოგვთხოვს,
ჰხარობს სული და ნეტარებს;
ჩვენ დამძრახველთ კუდიანი
დაუყენებს ორივ თვალებს!

დრამ. საზოგად. ძველი გამგეობა.

წინამძღოლი შევიქენი,
მივახწიე ჩემს მიზანსა,
ველარ ვნახავ გუბერნატორს,
თავს მოუტან დიდ ზიანსა!

ცრემლთა ფრქვევით თავ. დ. ნიჟარაძე.

სადღა ვიკრიოთ,
სადღა ვიჩხუბოთ?
ღმერთო, რად გვტოვებ
ჩვენ უიმედოთ!

სხვა და სხვა ტფილისელი მოკრივენი და დ. კილოსანიძე.

მშვიდობით ჩემნო გულის ტრფიალნო,
ციურის ჰანგით ველარ დაგატკბოთ,
მსურდა მეთარგმნა მე „შანტეკლერი“,
ვაი, ალერსით ვიღა გაგათბოთ?
მარიც მოსჩმახავს
სულ სხვა სანახავს,
სხვაც ვინმე იმას
კვერსა დაუკრავს,
მაგრამ, ოჰ, არა,
გული დაღარა,
მოდის ვარსკვლავი,
ჩვენი „მომკლავი“.

გვაზავა.

კუდი მომწყვიტეს,
კბილი მოჰგლიჯეს,
კალამიც შუა გადამიტეხეს;
ახლა სხვა მოდის „კუდიანიო“,
ბარემ დაინგრეს, ბარემ დაინგრეს!

ეშმაკი.

მე ძლივს გავხდი ჩინოსანი,
ბოლო რაღა დღეს გველება?
მწერლობითა ვერას გავხდი,—
კაცი მუდამ მშიერ კვდება.
ერთსა ვნატრობ, ერთსა ვითხოვ,
ვევედრები ნათელ მზესა:
ახ, ნეტავი კუდიანი
გამომცემელს დაეცესა!

ვაჟა-ფშაველა.

ჩემი მოწინააღმდეგეები ძლივს ეღირსა
შეკრება და გამოცემა,
კუდიანი ბოლოს გვიღებს,
გალეისა უნდა ცემა.
მოისპობა ჩვენი ბანკიც,
აღარც სატრფო გვეყოლება;
„ოდეს მოვკვდე ნუ მიხილავ
ჩემი თავი შეგზარდება!“

განდეგილი.

რედაქტორებო, ოღონდ დაბეჭდეთ,
ბევრი მოგროვდა დანაწერია.
რატომ ჩემს წიგნსა არ განიხილავთ,
ეგ კი არ მომწონს, გასაშტერია.

დუტუ-მეგრელი.

მეც ბოდიშს ვიხდი
მკითხველნო, ამით,
აღვსილი ვიყავ
ბრაზით და შხამით!
ცილი დავწამე,
ჩემს თავს ვაამე!

აზიანი.

აღმოვაჩინე ახალი კიბე,
ყველასთვის დიდად საკვირველია;
ზედა საფეხურს ქვენა ვერ სწვდება
და მეტის მეტად იგი გრძელია.
არც აბჯენია მაღლა ზეცასა,
არც მიწაზეა ის დაყრდნობილი;
მასზედა ადის მხოლოდ ზე-ქალი,
ან და ზეკაცი—ადამის შვილი.
ვაი, რა მუქთად დამირჩა შრომა
შავად გათენდა ჩვენთვის აღდგომა.

გრ. რობაქიძე.

ქართველებო, რა ვტიროთ?
თქვენი თავი, თუ კახური?
ვიქცევით და უღვთოდ ვჰქნებით,
ისე როგორც ნიახური!

ახოსპირელი, შანშიაშვილი, გრიშაშვილი, შ. მღვიმელი, ბებიაშვილი, ნარკანი, იმედაშვილი, იშხნელი, ივანიძე და სხვა ახალგაზრდა პოეტები და არტისტები.

„ქუთაისო, ქუთაისო,
სალხინო და სამაისო“!
ჭორი ვიღამ გაავრცელოს,
ვაი, ბედკრულს საქართველოს!

ქუთათური ახალგაზრდობა.

ახლად ვიყიდე დიდი შლიაპა,
გოდორი იმას არ შეედრება;
ვერც შინ, ვერც გარედ ვერ „ვიპორუსკებთ“
O, Боже! ბოლო რისთვის გველება?

ახალგაზრდა ქალები.

ვინ იმღერებს გიტარაზე,
„ნაკ ნუ პლაჩს“ ვინ დასძახებს;
ბაღში ვიღა ისეირნებს
ვიღა ნახავს ნაზ კავალრებს!

ქუთაისელი ქალები.

ღვინო ჩვენში ბლომად არის,
დღეს ერთბაშად დავლიეთ;
ვერ ველირსეთ რკინის გზასა,
სული ისე დავლიეთ.

კახელნი.

საქართველო გავყიდეთ,
ოქრო ჩავიჩხრიალეთ;
სხვის ნაშენი წლობითა
ერთს დღეს გავატიალეთ.
„ოდელია დელია,
საქართველო ჩვენია!“

საქართველოს შეერთებული თავადაზნაურობა.

ოჰ, რომ დამცალდეს,
რას არ ვიზამდი:
წიხლს ვკრავდი მთასა
და ძვრას ვუზამდი;
ყველას სიხარულს
გულსა მოვფენდი,
თავისუფლებას
ჩემს ერს მივცემდი.
არცა მსოფლიოს
დავივიწყებდი,
ჩემს დახმარებას
არ მოვაკლებდი;
ღარიბ-ღატაკებს
შევიფარებდი,
ვაჭრობას ჩვენში
გავაჩაღებდი,
მამულს სამოთხედ
გარდავაქცევდი,
სიტყვა-ლაპარაკს
მხარს აუქცევდი!
მაგრამ გვეთხრება
შავი საფლავი,
დაგვეტაკება
კუდა-ვარსკვლავი!

ქართველი მცინარა და ნაცარქექია ინტელიგენცია.

ზარდახშანი.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან).

16—17 აპრილი.

საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ (324 ხმით წინააღმდეგ 231 ხმისა) მიიღო საფინანსო კანონ-პროექტი, კანონ-პროექტი ლორდთა პალატაში შეიტანეს.

**ქრისტიანია.** სტორტინგი. თავმჯდომარემ ილაპარაკა და შეეხო ბიერნტერნ-ბიერნსონის გარდაცვალებას. სტორტინგმა დაადგინა მიცვალებულის დაკრძალვა და გადმოტანა სახელმწიფოს ხარჯით უნდა მოხდესო. მგლოვიარობის ნიშნად დეპუტატებმა სხდომა შესწყვიტეს. თეატრებში წარმოდგენები გადაიდო.

**ლონდონი.** ჩამოვიდა მეფე. დეპუტატთა პალატა. დეპუტატების შეკითხვაზე, იცის თუ არა მთავრობამ, რომ ავსტრია რამდენიმე „დრედნოუტს“ აშენებს, მაკკენამ განაცხადა: როდესაც დეპუტატებს სხვა სახელმწიფოების შესახებ შეკითხვები შემოაქვთ, მე იმას მოგახსენებთ ხოლმე, რასაც ჩვენ სხვები გვატყობინებენ რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ შეგვიძლიან ცნობები მივიღოთ სახელმწიფოთა აგენტებისაგან, ამაზედ ვერაფერ გარკვეულს პასუხს ვერ მოგცემთ. კონსერვატორი ფელლი შეეკითხა მაკკენას, მიიღო თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ ეგვიპტედან ცნობა, რომ იქ ინგლისის გავლენა შემცირდა და ბევრ ალაგას ინგლისის ქვეშევრდომები სახლიდან კარში ვერ გამოდიან, რადგან შეურაცხყოფისა ეშინიანთო. მაკ-კანონვუდმა უპასუხა: უკანასკნელ დროს ეგვიპტედან მოსული ცნობები, ნამეტან ბუტროს-ფაშის მოკვლის შესახებ, სრული არ არის. ჩვენ სრულებით არა ვიცით რა იმის შესახებ, რომ ინგლისის ქვეშევრდომებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოთო.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ წაიკითხა მოხსენება გარეშე პოლიტიკის შესახებ. სხვათა შორის გრეი შეეხო კრიტოსის საკითხს და განაცხადა, მფარველი სახელმწიფოები შეთანხმდნენ და ერთნაირ ზომებს მიიღებენ კრიტოსის მდგომარეობის მოსაწესრიგებლადო.

**პეკინი.** რუსეთის ელჩს დავალებული აქვს განუცხადოს გარეშე საქმეთა მინისტრს, რადგანაც ჩინეთს არა სურს მდინარე სუნგარის მენავოსნობის წესების შედგენის დროს სახეში იქონიოს რუსეთთან დადებული ხელშეკრულობა და ახალი წესები ამ ხელშეკრულობას შეუფარდოს, ამიტომ რუსეთის მთავრობა უფლებას იტოვებს მდინარე სუნგარის მენავოსნობის საკითხში თავისუფლად იმოქმედოს, თუ ჩინეთი 18 ივნისამდე ხელშეკრულობასთან შეთანხმებულ წესებს არ შეიმუშავებს. ამას გარდა რუსეთის მთავრობა მოითხოვს უკან დაუბრუნდეს სადამოჟნო გადასახადი, რომელიც რუსეთის ნავოსნებმა შარშან გადაიხადეს.

**მარსელი.** მინისტერ-პრეზიდენტმა მოიწონა პრეფექტი. მოქმედება. პრეფექტმა გაფიცულ მეზღვაურების დელეგატები არ მიიღო და განუცხადა, რომ სანამ გაფიცვას არ მისპობთ, დელეგატებს ვერ მივიღებო. მეზღვაურებმა დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა და კენჭისყრის დროს შავი კენჭები. მისცენ მთავრობის მომხრე კანდიდატებს.

**კარაკასი.** რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ხუან-ვიცენტ-გომბელი.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. სასამართლოს საღამოს სხდომაზედ პროკურორმა წარმოსთქვა საბრალმდებლო სიტყვა. პროკურორმა კრიტიკულის თვალით შეხედა ექსპერტების ჩვენებას, თვალი გადაავლო ტარნოვსკაიას მთელ ცხოვრებას და ამტკიცებდა, რომ კომაროვსკის მკვლელობა წინდაწინვე მოფიქრებული გეგმით შესრულებულა.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ საბოლოოდ მიიღო საფინანსო კანონ-პროექტი. პარლამენტის სხდომები გადაიდო 13 მაისამდე.

**ბერლინი.** ზედა პალატამ უარჰყო წინადადება პრუსიის ფარულ არჩევნების შესახებ. ზედა პალატამ მიიღო ლანდტაგის მიერ მოწონებული საარჩევნო კანონი, რომლითაც დაწესებულია არა პირდაპირი არჩევნები. ამომრჩევლების არჩევა ფარულის კენჭის ყრით ხდება.

**რომი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ლუცცატიმ დეპუტატთა პალატას გააცნო ახალი სამინისტროს პროგრამმა. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა: ახალი სამინისტრო წინანდელ სამინისტროს პროგრამმას შეასრულებს, სახელდობრ: დავაწესებთ გზათა სამინისტროს, მივიღებთ ზომებს ხალხში განათლების შესატანად, კარგ ნიადაგზე დავაყენებთ სოფლის მეურნეობას და მრეწველობას, ხელს შეუწყობთ ისეთ სოციალურ ორგანიზაციებს, რომლების მიზანიც იქნება ებრძოლონ სამელ-საჭმელის და სადგომის ფასის აწევას, მთავრობას შეგნებული აქვს იტალიის ისტორიული მისია მართლმსაჯულების, თავისუფლების და კულტურის დარგებში. რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, მოგახსენებთ, რომ უფრო განმტკიცდა სამთა კავშირი. ამას გარდა საფრანგეთთან და რუსეთთან მეგობრული კავშირი გვაქვს, სხვა სახელმწიფოებთანაც კარგ განწყობილებაში ვართ და მთავრობაც ეცდება ხელი შეუწყოს ამ გარემოებას. მოკლე ხანში სენატს უფლება მიეცემა თვითონ აირჩიოს თავმჯდომარე და მისი ამხანაგები. გადასინჯული იქნება საარჩევნო კანონი. მთავრობას აზრად აქვს გააფართოვოს საარჩევნო უფლება ისე რომ ყოველ წერა-კითხვის მცოდნე პირს უფლება ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოსო. დასასრულ მინისტრ-პრეზიდენტმა პალატას სთხოვა, თავის აზრი მკაფიოდ და აშკარად გამოსთქვას, რადგან განზრახული რეფორმების განხორციელება მოითხოვს ძლიერს და მხნე სამინისტროს და არა სუსტს და მხოლოდ დროებითსო.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. სასამართლოს დილის სხდომაზე პროკურორმა გააგრძელა თავის სიტყვა. მან სთქვა: ნაუმოვმა კომაროვსკი წინდაწინვე მოფიქრებულის მიზნით და გეგმით მოჰკლა. ტარნოვსკაია გარდა იმისა, რომ ნაუმოვთან მოქმედებდა, ნაუმოვს ასისინებდა, კომაროვსკი მოჰკალიო. ექსპერტებმა სრულებით ვერ დაგვარწმუნეს იმაში, ვითომ ტარნოვსკაია არა-ნორმალური ადამიანი იყოს და ამიტომ თავის მოქმედებაში სრულ პასუხს ვერ აგებსო. პრილუკოვიც ასისინებდა ნაუმოვს კომაროვსკის მოსაკვლელად, მაგრამ ძალიან საჭიროა ვიცოდეთ ვის დაებადა პირველად აზრი, რომ კომაროვსკი მოეკლათ. ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო ტარნოვსკაიას და პრილუკოვის წასისინება, რომ ნაუმოვს კომაროვსკი მოეკლა. პერიეც მონაწილეობას იღებდა მკვლელობაშიო. დასასრულ პროკურორმა ნაფიც-მსაჯულებს წინადადება მისცა, გაამტყუნონ დამნაშავეები, რადგან კაცის-მკვლელობასთან ერთად მათ მოკლულის გაცარცვაც უნდოდათო. საღამოს სხდომაზედ ნაუმოვის დამცველმა მარიგონდამ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მარიგონდას სიტყვით ნაუმოვი ტარნოვსკაიას შთაგონებით მოქმედებდა, იგი სხვისი მსხვერპლია. დამცველმა ითხოვა ნაუმოვის გამართლება. ნაუმოვის მეორე დამცველმა კრიტიკა გაუკეთა პროკურორის დასკვნებს. აღნიშნა ნაუმოვის სუსტი ხასიათი და სთქვა, რომ ტარნოვსკაიას შეეძლო ყველაფერი გაეკეთებინა ნაუმოვისთვისო.

**ვენა.** პორუჩიკი გოფრიხტერი სატუსაღოში გამოტყდა, მართალია, საგენერალო შტაბის 12 ოფიცერს საწამლავი გაუგზავნე და ამით მინ-

დოდა გზა გამეკაფაო. გოცრიხტერი ხუთი თვეა რაც სატუსაღოში ზის.

**პარიზი.** რადგანაც სოციალისტებს განზრახვა ჰქონდათ 18 აპრილს ბულონის ტყეში მანიფესტაცია მოეხდინათ, ამიტომ მთავრობამ გამოაცხადა, დემონსტრანტებს ძალით დავშლითო.

## არეულობა ალბანეთში

**სალონიკი.** კაჩანიკის გასავალი ისევ ალბანელების ხელშია. ალბანელების რიცხვი 6,000 კაცამდე ავიდა. უსკიუბიდან კასკანის გასავალისკენ გაგზავნილი ჯარი უკან დაბრუნდა, რადგან შეუძლებელი იყო მთებზედ გადასვლა. ფერიზოვიჩის ჯარს თავი მოუყარეს სოფელ ჩადარლისთან, კაჩანიკის გასავალის მახლობლად. ალბანელებმა კაჩანიკის გასავალთან ყოველივე მისვლა-მოსვლა შესწყვიტეს. ჯარი გარშემორტყმულია. ჯარს საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი აკლია.

**სალონიკი.** ფერიზოვიჩის მიდამოებში ჯარს და ალბანელებს სასტიკი ბრძოლა მოუხდათ. ალბანელები ათასობით თავს დაესხნენ კაჩანიკის გასავალისკენ გამოგზავნილ ჯარს. ჯერ-ჯერობით არაფერი ცნობები არ არის. თუ რითი გათავდა ბრძოლა. კაჩანიკის გასავალი ალბანელების ხელშია. ხმა დადის პრიზრენის და დიაკოვის მიდამოებში ჯარს და ალბანელებს შეტაკება მოუვიდათო. მოქმედობს მხოლოდ რკინის გზის ტელეგრაფი. კაჩანიკის გასავლის შეკვრის შემდეგ ძალიან ცოტა ამბები მოდის. ჯავიდ-ფაშამ უარი განაცხადა მთავრობის წინადადებაზე, რომ მას ეკისრა ცურგუტ-ფაშის მოვალეობა. ჯავიდ-ფაშა თხოულობს, რომ მას მიეცეს ნება დამოუკიდებლად და როგორც უნდა ისე იმოქმედოს.

**სტამბოლი.** ოფიციალურის ცნობებით იპეკთან, პრიშტინტთან და ჩერნოლევის გასავალთან ჯარსა და ალბანელებს მცირე შეტაკება მოსვლიათ. კაჩანიკის გასავალთან ჯარი გარს შემორტყმია ალბანელებს. ჯარი წესიერებას ადგენს. კერძო ცნობებით კი ალბანელები გარს შემორტყმიან ჯარს და ტურგუტ-ფაშას საკმაო ჯარი არა ჰყავს. უსკიუბი მეამბოხეების ხელშია და დიდი ზარალი მოსდის. კონსულები იუწყებიან, რომ საქმე ცუდად მიდისო. მეამბოხეებმა ტელეგრაფი გააფუჭეს და მიტროვიცთან რკინის გზით მიმოსვლა შეაჩერეს. ადგილობრივი ოფიციალური წრეები ძალიან შეშინებულნი არიან.

## ჰაერში ფრენა

**ეკატერინოსლავი.** სალიქო გამოფენის გამგე კომიტეტმა დაადგინა გამართოს ჰაეროპლანების გაჯიბრება. მოიწვიეს რუსეთის და საზღვარ-გარეთის ავიატორები. კომიტეტს დახმარება აღუთქვეს პარიზის ჰაეროკლუბებმა და პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტთან არსებულმა ჰაერში მფრენავმა ჯგუფმა.

**ლონდონი.** გაზეთ „დეილი-მეილმა" გამართა ჰაეროპლანების გაჯიბრება. ჰაეროპლანები მანჩესტერში უნდა გაფრენილიყვნენ, პრიზად დანიშნული იყო 100,000 მანეთი. გაჯიბრებაში, სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღეს პოლანმა და უაიტმა. პოლანი და უაიტი ლონდონიდან მანჩესტერისაკენ გაფრინდნენ 14 აპრილს საღამოს 6 ნახევ. საათზე. პოლანი მანჩესტერში მიფრინდა დილის $5^1/_2$ საათზე და ამრიგად სულ იფრინა 11 საათი.

**ლონდონი.** უაიტის ჰაეროპლანს მოტორი გაუფუჭდა და ამიტომ იგი იძულებული გახდა პოლსვორტში შეჩერებულიყო და მანჩესტერში აღარ გაფრენილიყო.

**სალონიკი.** ფერიზოვიჩიდან იუწყებიან, რომ ალბანელები დამარცხდნენო. კაჩანიკის გასავლისაკენ გაგზავნილმა 2 ბატალიონმა გზა და გზა ალბანელები გაფანტაო. გასავალზე ჯარს იერიში 15 აპრილს უნდა მიეტანა. საღამოთი 8 ბატალიონი კაჩანიკისკენ გაემგზავრა. ლიუნარკის ოლქის (იანინის ვილაიეთი) მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს, ახალ გადასახადს არ გადავიხდითო. წესიერების აღსადგენად გაიგზავნა ერთი ბატალიონი. უარ-ჰყოფენ იმ ხმას, ვ თომ არგიკასტოროში არეულობა იყოს. აქედან უსკიუბში გაიგზავნა მსროლელთა ბატალიონი. ზღვით ჩამოიყვანეს ახალი ჯარი.

## რ უ ს ე თ ი

**რიგა.** საქონლის სადგურის სახურავზედ მუშებმა იპოვეს გატენილი ყუმბარა.

**ჰელსინგფორსი.** სენატს გადაეცა ვოიმის საქმე. ვოიმმა წარადგინა მოხსენება თავის საქმის შესახებ.

**მოსკოვი.** სოფელ ტაშანში დაიწვა 67 სახლი, სოფელ კოჟოვანში გაცარცვეს „სტაროობრიადცების" ეკლესია.

**ხაბაროვსკი.** სოფლის საზოგადოებათა მამასახლისების ცნობებით, ხაბაროვსკიდან 50 ვერსის მარძილზედ მიწაში უპოვიათ ოქროს მადანი.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით აბოში დაიხურა იაპონურ სურათების გამოფენა. ადმინისტრაციის აზრით ზოგიერთი სურათები რუსეთის ჯარს ჩირქსა სცხებენ. აბოს პოლიცმეისტერს წინადადება მიეცა, ერთი კვირის განმავლობაში თხოვნა შეიტანოს და სამსახურიდან გავიდეს.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით 17 აპრილიდან სიმბირსკის გუბერნიაში გაუქმდება გაძლიერებული წესები. გუბერნატორს უფლება ექნება გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი. ბახმუტის მაზრაში განსაკუთრებული წესები დარჩება.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ექსკურსია.** ხვალ, 19 აპრილს, უფლის-ციხეში საექსკურსიოდ მიდის 40-მდე ქალი და კაცი. ექსკურსანტები დაათვალიერებენ ძველ ქალაქს უფლის ციხეს და შემდეგ გორის შესანიშნავ ადგილებს. ექსკურსია ტფილისის სადგურიდან გავა დილის 8 საათსა და 20 წამზე. ექსკურსანტებს საკუთარი ვაგონი დაეთმობათ. ვინც არ ჩაწერილა, მათ შეუძლიანთ პირდაპირ სადგურზე მივიდნენ.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოება.** პარასკევს, 16 აპრილს, თავ. პ. მ. არგუთინსკი-დოლგორუკის თავმჯდომარეობით მოხდა ტფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების კრება. კრებას ძლივს დაესწრო 18-მდე წევრი. იყო ოთხი-ხუთი კაცი გარეშე. პირველად კრებამ განიხილა გამგეობის მოქმედების ანგარიში, გამგეობას 1909 წელს სულ 300 მანეთი შემოსვლია. ამ მცირე ფულიდანაც ხარჯებს გადარჩენია 100 მან. აქედან აშკარადა სჩანს, რა საცოდავად მიაჩანჩალებს ცხოვრებას ეს უდღეო დაწესებულება. ანგარიში კრებამ დაამტკიცა. შემდეგ შეუდგა შეცვლილ და დამტკიცებულ წესდების გაცნობას. როგორც მკითხველებმა იციან, ამას წინად საზოგადო კრებამ წესდების რამდენსამე მუხლში ცვლილება შეიტანა, რაც სათანადო მთავრობას დაუმტკიცებია. ახლო მომავალში უნდა მოხდეს მრეწველთა კრება. ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობამ კრებას მოხსენება წარუდგინა. აღნიშნულ კრებაზე ტფ. ჟურნალისტთაგან წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. კრებამ დაადგინა, სთხოვოს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს კარლო ჩხეიძეს, იყოს წარმომადგენლად მწერალთა კრებაზე. გამგეობისავე წინადადებით კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღიძრას ტფ. ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, რომ ჟურნალისტთა საზოგადოებას მიეცეს უფლება ქალაქის სტიპენდიების მისაღებად კანდიდატების წარდგენისა. როგორც ვიცით, ქალაქის საბჭომ 2 სტიპენდია დაარსა ღარიბ ჟურნალისტთა ბავშვებისათვის. კრებამ არჩევნები გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და სხვა საკითხების განხილვა შემდეგ სხდომისათვის გადსდო.

✦ **მსხვერპლნი.** უკვე ვწერდით, რომ ქამოევის მაღაზიაში ნაყიდ თევზით ოთხი კაცი მოიწამლა გველესიანი და ტატიაშვილი გარდაიცვალნენ კიდეც. სარქის გასპარიანი და გაბრიელ ავაქოვი ავლაბრის სავადმყოფოს პირველ პავილიონში იწვნენ. აპრილს გასპარიანი და ავაქოვიც გარდაიცვალნენ. ამ რიგად, უხეირო თევზმა ოთხი კაცი იმსხვერპლა და უზომო ტანჯვაში ჩააგდო გადაცვალებულთა ოჯახები და ნაცნობ-ნათესავნი.

✦ **„ცხოველების გამჩრიახობა".** ამ სათაურით გამოვიდა პატარა ბავშვების პირველი საკითხი წიგნი, შედგენილი ანასტასია წერეთლის მიერ. წიგნი მეტად კოხტად და სუფთად არის გამოცემული, მრავალი სურათით შემკული. და ყდაში ჩასმული. ქართულად ისე ცოტაა საკითხავი წიგნი, რომ ყველა სიხარულით უნდა მიეგებოს ასე კარგად შედგენილ და გამოცემულ წიგნს. წიგნში მოთავსებულია 37 ამბავი, სულ ცხოველთა ცხოვრებიდან. წიგნიში სამოც სურათზე მეტია და მიუხედავად ამისა, იგი მხოლოდ ხუთ შაურად ღირს. ამ საინტერესო წიგნს შემდეგში კიდევ დაუბრუნდებით.

✦ **ავტომობილები.** სდგება ამხანაგობა, რომელიც ამ ზაფხულს მოაწყობს იაფად ავტომობილების მიმოსვლას ფუნიკულიორის ზედა სადგურიდან კოჯრამდე. ავტომობილები ყოველ ნახევარ საათში გავლენ.

✦ **ნამესტნიკის სწავლა.** კავკასიის ნამესტნიკის გრაფი ვორონცოვ დაშკოვი ჩაქვაში წავიდა, სადაც ამ უქმებში დაჰყოფს.

✦ **ახალი სატუსაღო.** ტფ. საგუბერნიო სამართველო ადგენს თურმე პროექტს ახალი სატუსაღოსას. ამ სატუსაღოს დასჭირდება 900,000 მანეთი.

✦ **თავის მოკვლა.** მიხაილოვიდან გვატყობინებენ: შაბათს, 17 აპრილს, დილის 8 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის ადგილობრივ კანტორაში რევოლვერი გავარდა. მოხელეები შეშინდნენ. ბოლოს გამოირკვა რომ თავი მოიკლა მოხელეს ულიანოვს, რომელიც ამას წინად დიდი ადგილიდან მცირე ადგილზე გადაიყვანეს.

✦ 15 აპრილს შემდეგი ამბავი მოხდა. პოლიციის მე-5 ნაწილში, სომეხთა ჯიგრაშენის ტაძარში. ეკლესიაში, იმ დროს, როცა იქ ბევრი მლოცველი იყო, ვიღაცას პეტარდა გადაუგდია. რა თქმა უნდა, ხალხი დაფრთხა. არეულობაში და მაჯლა-მოხლაში ბევრი დაშავდა. მალე გაჩნდნენ პოლიციელები და შეუდგნენ გამოძიებას. ეჭვით შეიპყრეს 6 ყმაწვილი.

✦ სამშაბათს, 20 აპრილს, საღამოს რვა საათზედ საზოგადო კლუბის სადგომში (ბირჟის სადგომი) მოსკოვიდან ჩამოსული ინჟ. ფ. სუმიონოვი გააცნობს საზოგადოებას რუსეთში ეხლახან დაარსებულ „რუსეთის ერთა ერთობის" საზოგადოების დანიშნულებას და მიზანს. ამის შემდეგ გამართება ბაასი და სამუსიკო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ გენერაზოვისა, მაისურიანი, სხენდიარინსა და ხუნირი.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ექიმი ქიათურაში.** შავიქვის მრეწველთა საბჭომ იაფის ქიათურის საავადმყოფოში ქირურგათ მიიწვია ცნობილი ექიმი ვ. გ. სობოლევსკის ნაცვლად კარტაშოვისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

✦ **კვიცარიძის დაპატიმრება.** 13 აპრილს პოლიციამ დააპატიმრა ჟურნალ-გაზეთების აგენტი ისიდორე კვიცარიძე, რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთი წელიწადი უნდა დაჰყოს საპატიმროში.

✦ **ეგზამენები.** რეალურ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭომ 9 მოსწავლე არ დაუშვა ეგზამენზე. აქედან 8 მოსწავლე დამატებითი, მეშვიდე კლასისაა და ერთი—მეექვსისა.

✦ **თავ. აზნაურთა არჩევნების გაბათილება.** დეპუტატთა საკრებულოს შეკითხვია ნამესტნიკის კანცელარია, დაიბეჭდა თუ არა ადგილობრივ გუბერნიის უწყებაში და ერთ-ერთ გავრცელებულ გაზეთში სია იმ თავ.-აზნაურთა, რომელთაც ხმისა და თავად აზნაურთა კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათო. გარდა ქუთაისის მაზრისა არც ერთ მაზრას არ შეუსრულებია კანონის მოთხოვნილება და ეს გარემოება, როგორც ამბობენ, უკვე მოხდარ არჩევნების კასაციის მიზეზად შეიქნება. კასაციის შესახებ აქ ალარავის აქვს ეჭვი, მხოლოდ ერთი რამ არის გამოურკვეველი ამ საქმეში: არავინ იცის, თუ წარსული კრება უკანონოდ იქნება ცნობილი, ვინ მიიღებენ მონაწილეობას სადგილ მამულო ბანკის კრებაში—ძველი რწმუნებულნი თუ წრეულს არჩეულნი. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნება არჩევნების შედეგზე.

# ბიერნსტერნე-ბიერნსონი

როგორც დეპეშამ გვაცნობა, პარიზში გარდაიცვალა ნორვეგიის დიდებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბიერნსტერნე-ბიერნსონი. ეს ამბავი არავისთვის მოულოდნელი არ იყო. რამდენიმე თვეა ავად იყო ეს შესანიშნავი ადამიანი და მისი მორჩენის იმედი აღარავისა ჰქონდა. ბიერნსტერნე-ბიერნსონი ცნობილია როგორც მწერლობაში, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიდი ხანი არ არის, რაც ნორვეგიამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ბიერნსტერნე-ბიერნსონი დიდ როლს თამაშობდა ამ საქმეში და სამშობლოში მისი დიდება ამით უფრო მეტის შარავანდედით შეიმოსა.

ბიერნსტერნე დაიბადა 1832 წელს. მამა იმისი მღვდელი იყო. მომავალი ნორვეგიელი მწერალი და მოღვაწე ახალგაზრდობაშივე შეეჩვია წიგნების კითხვას. პირველ ხანებში მეტად გატაცებული იყო ხალხურის პოეზიით: კითხულობდა ზღაპრებს, ხალხურ ლექსებს, ლეგენდებს, გადმოცემებს. 17 წლის ბიერნსონმა ეგზამენი ჩააბარა ქრისტიანიის უნივერსიტეტში. სწავლის დამთავრების შემდეგ კიდევ ორ წელიწადს დაჰყო ქრისტიანიაში, დაიარებოდა დანიურ თეატრში, რომელიც იმ დროს მეტად სახელგანთქმული იყო.

ბიერნსონის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები — ლექსები იყო, ხალხურ ლექსების მინაგვარი. ერთ ხანად იგი კრიტიკოსობდა, სწერდა წერილებს და თავის გულწრფელობით და პირდაპირობით ბევრი საზოგადო მოღვაწე და მწერალი მოიმდურა. მწერლობაში იგი ცნობილია უფრო დრამატურგად. პირველ დრამატიულ ნაწარმოებს საზოგადოებაც და კრიტიკოსებიც გულ-გრილად შეხვდნენ, მაგრამ შემდეგ იგი ჯეროვანად დააფასეს. მან ბევრი პიესა შესძინა ნორვეგიის თეატრს. მაგრამ ბიერნსონის პიესები მარტო ნორვეგიის საზოგადოებას არ აინტერესებდა. თითქმის ყველა ენაზეა გადათარგმნილი ბიერნსონის პიესები. უფრო პოპულიარულია მის ნაწერებში „მარია სტიუარტ", „გაკოტრება", „ახლად დაქორწინებულნი", „მეფე" და მრავალი სხვა. რამდენიმე პიესა ქართულადაც არის გადათარგმნილი.

პიესების გარდა ბიერსონმა გამოსცა მრავალი წიგნი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თემებზე. მისი იდეალი იყო—ომიანობის მოსპობა, საზოგადოების გარდაქმნა მშვიდობიანურად, ნორვეგიის და მასთან ერთად წვრილი ერების აღორძინება და სხვ. ბიერნსონი შესანიშნავი ორატორიც იყო და ეს ხელს უწყობდა, რომ ხალხის თანაგრძნობა მოეპოვებინა და თვით ხალხიც სამოქმედოთ გამოეყვანა. ბიერნსონი წინად ხელმძღვანელობდა ოპოზიციონურ გაზეთებს.

ბოლო დროს ბიერნსონი თანამშრომლობდა ერთ ფრანგულ ჟურნალში. ამ ჟურნალში თანამშრომლობენ ისეთი მოღვაწენი, რომელნიც მეტად თანაუგრძნობენ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებას და სამართლიანობის პრინციპს აღიარებენ. სხვათა შორის არა ერთი და ორი წერილი დაბეჭდილა ამ ჟურნალში საქართველოს შესახებაც.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(კორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** $9^1/_2$—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—86)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ოთხშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ქირურგი ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** ქირურგი ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## გამოვიდა და იყიდება

ტფილისში, წ. კ. საზ. მერკვილაძის და გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართულ თეატრის მსახიობთადმი მათის სურათებით: **„ცოლი ვიტირო თუ ფული"**—მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, **„უმადილის ბრალია"**,—გედევან გედევანოვისადმი,—**„ბედმა მილალატა"**,—ვასო აბაშიძისადმი, **„უშნო არშიყი"**, და სხვა. თუ ვისმე სურს, გაეგზავნება 25% გამორიცხვით. წიგნის ფასები 10—20 კაპეიკი.
ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი. (10—240—3)

**● საჭიროა მღვდლებისთვის! ●**
## გლისტოფი
(ნახშირი).
ეს ნახშირი გამოდგება უთოებისთვის, ხორცის შესაწვავად, სამოვრის გასახურებლად და სხვა. შეგიძლიანთ იყიდოთ
**კ. კ. ბობილიოვთან,**
ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. პაკეტი (60 გ.), 50 კ. (3—ხალ.—3)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის
განცხადების მომკრეფი აგენტი
## მ. ა. გაყონია
იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(0—7) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

რადგან უეცრად გვიხდება ტფილისიდან წასვლა,
## ვყიდით სახლის ავეჯეულობას:
კრაოტებს, სკამებს, პირისაბანებს, სტოლებს, ტანისამოსის შკაფებს, კამოდებს და ტუმბუტკებს. იყიდება მთელი სასტუმროს მოწყობილება მსურველს შეუძლიან დაათვალიეროს ნივთები.
ადრესი: ელისაბედის ქ., № 100, მეორე მოსავალ კარებიდან. ბინა გუდიევისა. (3—244—3)



## დღესასწაულებისთვის
## ■■■ საჩუქრები: ■■■
საათები ოქროსი და ვერცხლისა. სხვა და სხვა კოხტა ნივთები შეიძლება იყიდოთ იაფად მხოლოდ **ა. გოლდშტეინთან:** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. მივიღეთ კოხტა ვერცხლისა და ოქროს კვერცხები. (4—ხალ.—3)

—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶—
**მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე**
## „ფეხსაცმელების სახელოსნო"
გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—**შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა,** აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით სუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის გკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.
ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ზითაროვისა N 28.
**პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.**
—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶— (25—ნ.—21)

## ხირომანტი-პსიხოლოგი
ა. კ. ხ. შუაგულ აზიიდან გავლით ტფილისში ჩამოხტა 5 დღით. შეუძლიან შეიტყოს ადამიანის წარსული, აწმყო და მომავალი თავის მღყვანილობისა და ხელის ხაზების გასინჯვით. **● სინჯავს აგრეთვე ბავშვებს ●** იგებს ცუდ ზნეს, ცოდნის შეთვისების უნარსა და ავადმყოფობას. აძლევს ხირომანტიის გაკვეთილებს. მიღება რიგის ბილეთებით დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს საღამოს 8 საათ. 9 საათამდე. საჭიროა გასირი ქალი, ტფილისს გარედ, უბეოდ. ადრესი: სასახლის ქ. N 6, სასტუმრო „პალე როიალი", შესავალი მისავალ კარებიდან, ცალკე ბინა. (1—1050—1)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა
## „რ ო ზ ა"
**ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**
**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—3)